

თამაზ გოდერძიშვილი

თარგმანები



გამომცემლობა „კონტაქტი“
თბილისი
2020

ყოველი წლის თებერვალში

კომედია ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

დორისი

ჯორჯი

პიესაში აღწერილი ამბავი ხდება ჩრდილოეთ კალიფორნიის ერთ-ერთი ქალაქის გარეუბნის სასტუმროს ერთოთახიან კოტეჯში.

პირველი მოქმედება

პირველი სურათი – 1951 წ. თებერვალში

მეორე სურათი – 1956 წ. თებერვალში

მესამე სურათი – 1961 წ. თებერვალში

მეორე მოქმედება

პირველი სურათი – 1965 წ. თებერვალში

მეორე სურათი – 1970 წ. თებერვალში.

მესამე სურათი – 1975 წ. თებერვალში.

პირველი მოქმედება პირველი სურათი

მოქმედების დრო: 1951 წლის თებერვალი

მოქმედების ადგილი: ესპანური სტილის სასტუმროს კოტეჯი ქალაქ მენზეციანის გარეუბანში, სან-ფრანცისკოს ჩრდილოეთით. საკმაოდ დიდი, კეთილმოწყობილი მყუდრო ოთახი. ოთახში: ორადგილიანი საწოლი, ტუალეტის სარკეებიანი მაგიდა, ლამაზი, ჭრელჩითვადაკრული დივანი. ნაძვვილი და არა ბუტაფორული ბუხარი; პატარა და არა საკონცერტო როიალი, ოტომანი, ორი ფანჯარა, კედლის კარადა, კარები: ერთი – სააბაზანოში გამავალი, მეორე – საზოგადო. ოთახის ძორთულობა მხოლოდ და მხოლოდ მუდმივის, უცვლელის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს მაყურებელზე. ოცდახუთ წელს ასე იღვება ეს ავეჯი და ერთი ვოჯითაც არ გადაადგილდება კიდევ ას წელს. იხსნება ფარდა:

ღორისი და ჯორჯი ლოკინში წვანან. ჯორჯი საწოლის ზურგს მიყრდნობია. გაშტერებულია. ღორისი თავს იმძინარებს, თუმცა თვალები დაუჭყეტია, ჯორჯი ნელ-ნელა და ფრთხილად დგება საწოლიდან. ივრძნობს თუ არა ჯორჯის მოძრაობას, ღორისი თვალებს დახუჭავს. ჯორჯი სკამზე გადაკიდებულ პიჯაკს წამოისხამს, შეძევ იპოვნის ცალ წინდას და ჩაიცვამს. ის-ის არის, მეორე წინდასაც უნდა მისწვდეს, რომ ღორისი მისკენ შეტრიალდება.

ღორისი – ამას ვის ვხედავ?!

ჯორჯი – დილა მშვიდობისა.

ღორისი – სალამი!

ჯორჯი – გაგალვიძე?

ღორისი – არა...

ჯორჯი – როგორ გეძინა?

ღორისი – გმადლობთ, კარგად. (ძლივს მისწვდება ქვედა კაბას და ზეწრის ქვეშ იცვამს. შეძევ ზეწარს თავზე გადაიფარებს და თეთრეულს იცვამს. ამასობაში ჯორჯი მოასწრებს შარვლის ჩაცმას). რომელი საათია?

ჯორჯი – მანდა დევს, მაგიდაზე.

ღორისი – (საათს აიღებს) თორმეტს ათი წუთი უკლია.

ჯორჯი – არა, ცხრის ოცდახუთი წუთი ყოფილა. ღერძი გაუტყდა და სამი საათითა და ოცდახუთი წუთით გარბის.

დორისი – რატომ არ შეაკეთებ?

ჯორჯი – აი-დღეს, აი – ხვალ-მეთქი და მივეჩვიე.

დორისი – მერე, არ გეშლება?

ჯორჯი – არა, ციფრებთან მაგარი ვარ.

დორისი – ასე რატომ მიყურებ?

ჯორჯი – მგონი, მახეში გავები... ჩიტივით.

დორისი – მართლა?

ჯორჯი – რა დაგემართა, რატომ ხარ ასე ლამაზი? ცხოვრებას ბევრად გამიიოლებდი, ძილისაგან ცხვირგასიებულსა და სახეგაფუებულს რომ გამოგეღვიძა... ყველა ქალივით.

დორისი – ეტყობა, ღმერთს შევეცოდე და გაფუებული ბარძაყები მამყოფინა.

ჯორჯი – ახლა არ დამიწყო: ესაო, ისაო. ყველაფერზე დაწვრილებით უნდა მოვილაპარაკოთ, გესმის?

დორისი – მესმის. *(საწოლიდან დგება და ზეწარშემოხვეული საბაზანოსკენ მიდის).*

ჯორჯი – სად მიდიხარ?

დორისი – კბილები უნდა გამოვიხეხო.

ჯორჯი – დოროთი, ძალიან გთხოვ, დაჯექი, *(დორისს უნდა უპასუხოს, მაგრამ)*... თუ შეიძლება, დაწყნარდი, დაჯექი და მომიხმინე. *(დორისი საწოლის კიდეზე ჩამოჯდება)* უპირველეს ყოვლისა, მინდა იცოდე, ჩემო კარგო დოროთი, რომ ეს იყო ყველაზე კარგი, ყველაზე გადარეული, პირდაპირ სასწაული ღამე ჩემ ცხოვრებაში... ვერასოდეს დავივიწყებ ვერც ამ ღამეს და ვერც შენ.

დორისი – ჩემო კარგო დორის!

ჯორჯი – რა ბრძანეთ?

დორისი – მე დორისი მქვია.

ჯორჯი – დორისი? მე კი მთელი ღამე დოროთი გეძახე! რატომ არ მითხარი...

დორისი – არ მეგონა, ასე ღრმად თუ შევტოპავდით! მერე ბევრჯერაც გითხარი, მაგრამ რას გაიგებდი!

ჯორჯი – როდის მითხარი? არ მახსოვს.

დორისი – იმ დროს.

ჯორჯი – ვინმეს რომ ეთქვა, ასე იქნებო, არ დავიჯერებდი; ხომ მართალია?

დორისი – მართალია. ძალიან კარგად აეწყო.

ჯორჯი – მხეცი ვარ! რა დამემართა, ვერ გამიგია!

დორისი – იცი, ცოტა არ იყოს, მეუხერხულება ამაზე ლაპარაკი.

ჯორჯი – რატომ? ხომ ყველაფერი მშვენივრად აეწყო, დორის? თანაც არაფერი სასირცხვილო ან რაღაცნაირი ... აი, თავი რომ შეგკავრდეს, ისეთი არ გაგვიკეთებია...

დორისი – მაშ, რატომ ნერვიულობ?

ჯორჯი – მომკლავს ცოლი.

დორისი – საიდან გაიგებს?

ჯორჯი – უკვე იცის!

დორისი – აკი ნიუ-ჯერსიშიაო?

ჯორჯი – მერე რა!

დორისი – როგორ გაიგებს?

ჯორჯი – მითხარი, შენც ხომ ძალიან მოგეწონა?

დორისი – ყველა კაცი ასე ბევრს ლაპარაკობს ამაზე... ლოგინიდან წამოდგება თუ არა?

ჯორჯი – შენ... გარყვნილი ან გათახსირებული გგონივარ?

დორისი – არა, ისე, მაინტერესებს. მე ხომ თითქმის ქალიშვილი ვიყავი, რომ გავთხოვდი.

ჯორჯი – როგორ თუ თითქმის?

დორისი – როგორ და ფეხმძიმედ გახლდით... ოღონდ, ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

ჯორჯი – ძალიან დიდი, ჩემო დორის, ძალიან დიდი...

დორისი – ვერ მიხვდი? ვინც დამაორსულა, იმას გაგყევი.

ჯორჯი – ეგ სხვა საქმეა... მაპატიე...

დორისი – *(ბლოუზს იცვამს)* მიპატიებია... მე და ჰარი მაინც დავექორწინდით... ამან ცოტა დააჩქარა ჯვრისწერა. იცი, საკმარისია, ჰარის ჭიქიდან წყალი მოვსვა, უკვე ფეხმძიმედ ვარ. *(ჯორჯი შესტყერის)* რას მომშტერებიხარ?

ჯორჯი – ოი, როგორ გავები მახეში! ოი, როგორ ჩიტივით გავები! იცი, მგონი, უკვე მიყვარხარ! სიგიჟეა, არა?! მე კი ისიც არ ვიცი, ასობს თუ ცნობ!

დორისი – საშუალო არ დამიმთავრებია.

ჯორჯი – ასეც ვიცოდი... მაგრამ ხომ ხედავ, ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ჩემი მუხთალი ბედის ამბავი მაინც უნდა გამეთვალისწინებინა.

დორისი – *(ქედატანს იცვამს)* ეგ რას ნიშნავს?

ჯორჯი – იმას, რომ უბელურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი და ბედი არ მწყალობს... თავიდანვე, სიჭაბუკიდანვე: ქალთან პირველად რომ ვიყავი, თვრამეტი წლისა გახლდით. ჩვენი „სასტუმრო“ 1938 წლის გამოშვება „დოჯი“ იყო. უკანა სავარძელზე ვიწვექით და... სწორად იმ დროს მანქანას ვილაცამ არა გლიჯა საბარგულში!!

დორისი – რა საშინელებაა! მანქანა დაზღვეული იყო?

ჯორჯი – თუ გახსოვს, მუსიკალური ავტომატი რას უკრავდა გუშინ საღამოს, ერთმანეთი რომ გავიცანით?

დორისი – არა; რატომ მეკითხები?

ჯორჯი – „რომ მცოდნოდა, მოხვიდოდი, ნამცხვარს გამოგიცნობდი“.

დორისი – მერე?

ჯორჯი – ის, რომ ახლა ეს „ჩვენი ჰიმნია“! ვინც რა უნდა, იმღეროს, ბატონო, ზოგს „ჩემი იყავ!“ მოსწონს, ზოგს – „ჭაბუკ მიჯნურებს მივესალმები!“ მე კი ეს სიმღერა მერგო და რას მერჩით: „რომ მცოდნოდა, მოხვიდოდი, ნამცხვარს გამოგიცნობდი“.

დორისი – რა კარგია, ასეთი რომ ხარ.

ჯორჯი – იცი, მგონი, მიყვარხარ. აი, ეხლა გეტყვი და შენც იოლად მიმიხვდები, როგორც არ მწყალობს ბედი: მე ცოლიანი ვარ და საკმაოდ ბედნიერი ოჯახი მაქვს.

დორისი – ებრაელი ხარ?

ჯორჯი – არა.

დორისი – მაშ, რატომ გგონია, რომ სულ დამნაშავე ხარ?

ჯორჯი – შენ არაფერი დაგიშავებია, არა? თუ ცოდვას გულს არ იკარებ?

დორისი – დამცინი? ჩემი თანაკლასელების ნახევარი მოლოზნად აღიკვეცა, ისე გაგვზარდეს.

ჯორჯი – აღიკვეცებოდა, აბა რა! ასეთ შემთხვევებში კათოლიკეებს მკაცრი კანონები გაქვთ.

დორისი – და არა მხოლოდ ასეთ შემთხვევებში. სწორედ ამიტომ დიდი ბედნიერებაა, თუ კათოლიკე ხარ. ყოველთვის იცი, როგორ მოიქცე.

ჯორჯი – გეუბნები, დორის, დროა, ვენებს ვიჭრიდე.

დორისი – მგონი, გამოვიცანი: იტალიელი ხარ!

ჯორჯი – შენ რა, ეროვნებასთან დაკავშირებით ცოტას ხომ არ უსტვენ?

დორისი – ისეთ ემოციებს აფრქვევ, რომ...

ჯორჯი – სხვათა შორის, მე კვალიფიციური ბუღალტერ-აღმრიცხველი გახლავართ და ლოგიკა უცხო ხილი არ არის ჩემთვის.

დორისი – რაღაც არ ჰგავხარ აღმრიცხველს... სულ სხვა ტიპი ხარ.

ჯორჯი – არც არის გასაკვირი. ცხოვრება ვერ გამოვიყვანე, თორემ ციფრები ყოველთვის სწორად გამომყავს. ციფრები მიყვარს კიდევ... გეფიცები... შენ სადაური ხარ?

დორისი – იტალიელი.

ჯორჯი – მერე, ემოციებს რა უყავი?

დორისი – დიდ ოჯახში თუ გაიზარდე, ემოციები ისე მოგებზრდება, სიკვდილამდე აღარ გაიხსენებ.

ჯორჯი – მაინც საკვირველია, რატომ არ იტირე ან, უკიდურეს შემთხვევაში, წივილ-კივილი რატომ არ ატეხე?

დორისი – ეგ მანამდე მოვახერხე... საბაზანოში.

ჯორჯი – იტირე?

დორისი – არა, ვიკივლე!

ჯორჯი – რომ არ გამიგონია?

დორისი – პირში ცხვირსახოცი ჩავიტენე!

ჯორჯი – დიდად ვწუხვარ.

დორისი – როგორ გეკადრებათ! გვიანდა არის თითზე კბენანი.

ჯორჯი – მართალია.

დორისი – მაშ, რა დაგემართა, რატომ ვწუხვართ?

ჯორჯი – იმიტომ, რომ წესიერი და პატიოსანი ადამიანები ვართ და ეს ამბავი გულს გვიხეთქავს. დარწმუნებული ვარ, არავითარი დანაშაული არ ჩაგვიდენია, მაგრამ თვალწინ, მაინცდამაინც, ჩემი ბავშვები მიდგას, რატომ გვიღალატეო. ახლა გავიხსენე ქორწინების აღთქმაც და მეუღლის ნდობაც ყველგან და ყველაფერში; ეს რა არის? უარესს გეტყვი: ამას ვფიქრობ და შენ მინდისხარ; თანაც ახლავე, ძალიან, გიჟივით. ფანტასტიკურად...

დორისი – ეგ აღარ უნდა გეთქვა.

ჯორჯი – უკაცრავად... მაგრამ, ჩვენ აუცილებლად გულწრფელი უნდა ვიყოთ ერთმანეთთან... აბსოლუტურად გულახდილი და პატიოსანი.

დორისი – მაგაზე არ მითქვამს... მე ხომ აღსარებაზე დავდივარ!
ჯორჯი – გაგვიყლით თუ რაშია საქმე? რაც ჩვენ გადაგვხდა, მილიონობით ემართებათ ყოველდღე. ჩვენ ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანები ვართ და საქციელიც ჯანმრთელი და ნორმალური ჩავიდინეთ. აღსარებაზე კი აუცილებლად ნამდვილი სახელი და გვარი უნდა უთხრა?

დორისი – არა.

ჯორჯი – ერთი რამ უნდა გკითხო, შეიძლება?

დორისი – მიდი.

ჯორჯი – რამე რომ იყოს, არ დაწვები... ახლავე!

დორისი – არ შეიძლება.

ჯორჯი – რატომ?

დორისი – მე რე უფრო დავიტანჯებით.

ჯორჯი – არაფერიც. სინდისის ქენჯნამ უკვე გამიარა. თანაც რაღაც გამახსენდა...

დორისი – რა?

ჯორჯი – რუსებს აქვთ აი, ასეთი დიდი ბომბი! ხვალინდელი დღე, შესაძლოა, არც გაგვითენდეს.

დორისი – წყალწალეხული ხავსს ეჭიდებოდაო.

ჯორჯი – როგორ ვერ უნდა შეგაგნებინო: ჩვენ, ორივე, დიდები ვართ, დიდები... და უკვე დროა, არც არავისი გვრცხვენოდეს და არც გვეშინოდეს (*კაკუნი, შიშისვან ორივე გაშეშდა. გამოვონილი სითამამით*) ახლავე! (*ერთდროულად აფუსფუსდებიან. თანაც ისეთი სიშშვით, თითქოს გაგიჟდნენ. ჯორჯი ცდილობს ოთახი მიაღვავოს, დორისი დაავლებს ხელს შლაპას, ჟაკეტს, ჩანთას და საბაზანოსკენ მირბის*) მანდ არ შეხვიდე!

დორისი – რატომ?

ჯორჯი – ჩითვას ყოველთვის აბაზანიდან იწყებენ: (*კარისკენ*) მოვდივარ. (*დორისმა არ იცის, რა ქნას. შეძევ, ფანჯრიდან გადახტება შიდა ეზოში. ჯორჯი უკანასკნელ მომენტში შენიშნავს ბუხრის პირას დავლებულ ქალის წინდებს და ჯიბეში ინახავს. ჯორჯი უახლოვდება საზოგადო კარს და ოდნავ გამოაღებს. საკვირველია, როგორ გაეტევა ეს კაცი იმ ღრიჭოში! კარი იხურება. კულისებიდან ყრუ საუბარი ისმის. შეძევ კარი იღება, ჯორჯს საუზმედ გაწვობილი ლანგარი შემოაქვს და დაბაღ მავიდაზე დადებს. დორისს ეძებს, შეამჩნევს ღია ფანჯარას და ვასძახებს*) დორის! დორის! (*ვიდრე ჯორჯი ფანჯრიდან იყურება, იღება კარი და შემოდის გამოპრანჭული დორისი*)

დორისი – ქალი სად დამალე?

ჯორჯი – *(შიშისაგან შეხტება, მობრუნდება)* არც შემეშინდა და არც შევედრკი. სრული სიმშვიდეა. მისტერ ჩაღმერსმა საუზმე მომართვა. აზრზე არ არის მოხუცი!

დორისი – არ უკითხავს, ქალის წინდების ჩაცმა როდის დაიწყეო?

ჯორჯი – წინდები რა შუაშია *(შეამჩნევს კვიბიდან ნახევრადგადმოვლებულ წინდას)* ესეც ასე... ნაღდად იფიქრებს, ჰომოსექსუალისტიანო.

დორისი – *(წინდებს გამოართმევს და ჩანთაში ინახავს)* რა მნიშვნელობა აქვს, პორტიე რას იფიქრებს?

ჯორჯი – ამ სასტუმროში ყველა მიცნობს!

დორისი – რატომ?

ჯორჯი – აქ, ახლოს, ჩემი მეგობარი ცხოვრობს... ღვინით ვაჭრობს... ყოველი წლის თებერვლის ბოლო შაბათ-კვირას ჩამოვდივარ და ბუღალტერიას ვუწევსრიგებ.

დორისი – ნიუ-ჯერსიდან აქ მოფრინავ? ამ სიშორეს?

ჯორჯი – ჩემი პირველი კლიენტი იყო და... ხომ იცი, ადამიანი ზოგჯერ ზედმეტად სენტემენტალურია.

დორისი – კარგი ერთი!

ჯორჯი – დორის, რაღაც უნდა გითხრა.

დორისი – გისმენ.

ჯორჯი – შენ, ალბათ, ძალიან მარჯვე და გამოცდილი გგონივარ. სწორედ ამიტომ მინდა იცოდე: რაც ცოლი შევირთე, ასეთი რამ პირველად დამემართა.

დორისი – ნუ ღელავ, შეგატყე, შეგატყე! ხომ არ გამიჯავრდები, საუზმე რომ შეგიჭამო... ცოტა.

ჯორჯი – ჭამე, რას მეკითხები? მე ჯერ არ მშია. საკვირველია! ჯვრისწერამდეც არ ვიყავი ასეთი დაუფიქრებელი და სპრინტერული რომანების სპეციალისტი. ჯერ უნდა შევჩვეოდი, ძალიან უნდა შევჩვეოდი და მერე... რაო, რაო, რა შემატყვე?

დორისი – რა ვიცი... როგორ გითხრა... ჯერ იყო, ფეხსაცმელები ზედ გეცვა და შარვალს იხდიდი! რომ ვერ შეძელი, ისე გაიხვლანჯე, წაბორძიკდი და მაგიდას თავი გლიჯე. კინაღამ გატყდა! ამ ორომბტრიალის მერე რაღაცას მივხვდებოდი, აბა, რა იქნებოდა!

ჯორჯი – რა კარგია, ასე გულახდილი რომ ხარ... რა კარგია, რომ არსებობს კაცი, ვისთანაც ასეთი გულახდილობა შეგიძლია; ხომ მართალს ვამბობ?

დორისი – მართალია!

ჯორჯი – აი, მე კი... არა ვარ ბოლომდე გულახდილი და მართალი...

დორისი – რატომ?

ჯორჯი – ასე გითხარი არა, ცოლი და ორი შვილი მყავს მეთქი?

დორისი – დიას?

ჯორჯი – მე კი ცოლი და სამი შვილი მყავს! ვიფიქრე, ორშვილიანი ნაკლებცოლიანი ვეკონები-მეთქი: ყველაფერი ბოლომდე ვერ გავიაზრე და ამიტომაც ვარ ასე აფორიაქებული დიდიდან. განსაკუთრებით, ის მაგიჟებს, პატარა დებიზე ხელი რომ ავიდე: ვითომ არც მყოლია. ასე არასოდეს მოვქცეულვარ და რა ღმერთი გამიწყრა, ვერ გეტყვი. სტრესებმა დამაღრჩვეს.

დორისი – მესმის, მესმის, ეგ ყველას გვემართება. ხანდახან ყველა ვისულელებთ თავს. ერთი ეს მითხარი, ცოლი რატომ თან არ დაგყავს?

ჯორჯი – ფილისი? თვითმფრინავს ვერ იტანს.

დორისი – ფრენისა ეშინია?

ჯორჯი – არა, კატასტროფის!

დორისი – *(შეაძწნევს, რომ ჯორჯი ისევ მიაშტერდა)* ასე რატომ მიყურებ?

ჯორჯი – მომწონს... როგორცა სვამ...

დორისი – ყავა დაგიტოვო?

ჯორჯი – არა, გმადლობთ; დორის, ნეტა თუ შეიძლება, ხალხით გადაჭედო რესტორანში ორმა უცნობმა და უცხო ადამიანმა ერთმანეთი შენიშნოს და თანაც... მაშინვე მოუნდეთ ერთმანეთი... იმ წამსვე?...

დორისი – არა!

ჯორჯი – მაშ, როგორ დაიწყო ეს ჩვენი ამბავი?

დორისი – როგორ და, ბევშტექსი რომ გამომიგზავნე, გახსოვს?

ჯორჯი – ამათ მშრალი კანონი აქვთ და რა მექნა? თანაც სახელი სწორედ ბევშტექსით გაითქვეს.

დორისი – მერე გამოგხედე და... ბროლის ჭიქის მაგივრად ჩანგლით მადლეგრძელე... თანაც ზედ შემწვარი ხორცის იმხელა

ლუკმა წამოგერჭო, სიცილით გავიგუდე. ასეთი რამ არასოდეს ღამინახავს, არც გამიგონია. რატომ აიწყვიტე, რა მოგივიდა?

ჯორჯი – რალაცა დამემართა; ამაზე პოეტი გიპასუხებდა, მუზა მეწვიაო... ისე, ძალიან წესიერად ვიქცევი. მართალია, ერთი ძმაკაცი მეუბნება; ისე უნდა მოიქცე, ცხოვრება ყოველთვის „კი, ბატონოს“ გეუბნებოდესო, მაგრამ, რას იზამ! თანხმობის მაგივრად მე „ვნახოთ, გამოიარეთ ხოლმე“ – ამას ძლივს ვქაჩავ.

დორისი – აბა, წუხელ რა დაგემართა?

ჯორჯი – რატომღაც სიმარტოვე ვიგრძენი. შენც ისე საცოდავად იჯექი: წინდაზე თვლები გაგქცეოდა... პომადაც გაგეთხუნა...

დორისი – ალბათ, იფიქრე, ეს იაფფასიანი ბოზი აქ ვინ შემოუშვაო...

ჯორჯი – არა, ვიფიქრე, ღმერთო, რა ლამაზია-მეთქი!

დორისი – იცი, მართლა უნდა წავიდე, თორემ მონაზვნები გამიგიჟდებიან.

ჯორჯი – ვინ მონაზვნები?

დორისი – გუშინ, რესტორანში, მეუხერხულა ამაზე ლაპარაკი... მონასტრის თავშესაფარში უნდა მივიდე.

ჯორჯი – მონასტრის თავშესაფარში?

დორისი – ჰო, აქვია, ახლოს. ყოველ წელს ჩამოვდივარ სალოცავად, ამ დროს ჰარი ბეიკერსფილდშია და...

ჯორჯი – ბეიკერსფილდში რაღა ხდება?

დორისი – დედამთილი ცხოვრობს, დღეს დაბადების დღე აქვს.

ჯორჯი – მერე არ ეწყინება, ქმართან ერთად რომ არ ეწვიე?

დორისი – არა, დედამთილს არ ვუყვარდი.

ჯორჯი – რატომ?

დორისი – ფეხბიძემ რომ ვიყავი.

ჯორჯი – კი, მაგრამ ამ საქმეში იმისი ვაჟიშვილიც ხომ მონაწილეობდა... ცოტა...

დორისი – ეგ ღაავიწყდა. თანაც, იცი, რაშია საქმე: ჰარი სტომატოლოგიურზე სწავლობდა და პირველი კურსიდან წამოვიდა. თავი რომ გვერჩინა, ნოქრად დაიწყო მუშაობა. ასე რომ... ყოველწელს, ამ დროს, ბეიკერსფილდის ნაცვლად, მონასტერში მივემგზავრები ხოლმე.

ჯორჯი – ღმერთს რომ ეზიარო?

დორისი – არც უმაგისობაა! ჯორჯე, მეც სამი შვილი მყავს...

თვრამეტის ვიყავი, პირველად რომ დავკორსულდი... შენ კარგად გამიგებ, საკუთარ თავთან მარტო დარჩენის დროც არა მქონდა. თუმცა რას ავწუწუნდი... ნუ მიაქცევ ყურადღებას... ხანდახან მგონია, შევიშალე-მეთქი.

ჯორჯი – რატომ?

დორისი – ახლავე გეტყვი; ოკლენდის ცენტრში ორსართულიანი ბინა გვაქვს; 1948 წლის მოდელის მშენიერი ავტომანქანა – „კაიზერი“; ბაცი, საკმაოდ ლამაზი სასადილო გარნიტური, ტელევიზორი „მოტოროლერი“; თანაც კვირაში ორჯერ რესტორანში დავდივართ. კაცი იფიქრებს, მეტი რაღა უნდაო! მე კი ყელში ამომვიდა ყველაფერი! რა ჯანდაბა მემართება, ვერ გამიგია!

ჯორჯი – ეგ ჯანდაბა არ გახლავთ.

დორისი – შენც ასე ფიქრობ? იცი, მართლა მიაღვილდება შენთან ლაპარაკი. თანაც ისეთი გულანდილი ვარ... საკვირველი ის არის, რასაც გეუბნები, ამაზე არც მიფიქრია და არც მეგონა, ასეთი აზრები თუ გამაჩნდა. ეს ჩემ თავს გუშინვე შევამჩნიე, რესტორანში... გაგიცანი თუ არა.

ჯორჯი – ჩვენ ურთიერთგაგების უსწრაფესი უნარი გამოგვიმუშავდა. ესეც შეამჩნიე?

დორისი – ეგ არა, მაგრამ საათივით რომ ავეწყვეთ, ცხადია: ჰარი ერთ-ორ სიტყვას თუ ამოშაქრავს, თორემ... შენი ცოლი? ბევრს ლაპარაკობს?

ჯორჯი – დორის, ჩვენ, ორივეს, რა თქმა უნდა, გვანტერესებს მეორე ნახევრების ამბავი. ვიდრე მათ წვრილად გავჭორავდეთ და ამით ყველაფერს გაგაფუჭებდეთ, შემომაქვს შემდეგი წინადადება: მე გაიმბობ ორ ამბავს ჩემს ცოლზე... ერთ – კარგს და მეორეს – ცუდს. მერე შენ მიაძბე; მერე კი, ყველაფერი დავივიწყოთ! კარგი?

დორისი – კი, ბატონო.

ჯორჯი – მე დავიწყებ... ჯერ ცუდ ამბავს გაიმბობ... ფილისმა იცის ჩვენი ამბავი.

დორისი – ეგ ხომ მითხარ?! კი მაგრამ... ვინ ეტყოდა?

ჯორჯი – იმას თავში... ისა აქვს... როგორ ვითხარა...

დორისი – ფირფიტა?

ჯორჯი – რა ფირფიტა?

დორისი – ბიძაჩემივით! ფრონტზე დაიჭრა და ოპერაციის შედეგად თავის ქალაში ფოლადის ფირფიტა ჩაუდგეს. ახლა იბახის, ამინდის პროგნოზი თუ გნებავთ, არ დაგიმალავთო. განსაკუთრებით, წვიმის წინასწარმეტყველებას იჩემებს.

ჯორჯი – ჰო, რა ეგრეა! გავები!

დორისი – კი, მაგრამ...რატომ? რატომ?

ჯორჯი – იმიტომ, რომ ჯერ არ გითქვამს და უკვე მომწონს. რაც უნდა თქვა, ყველაფერი მომწონს...

დორისი – შენ ცოლზე მიაბობდი...

ჯორჯი – იმას ფირფიტა კი არა, უფრო ზარივითა აქვს რაღაც. სხვა ქალს თუ შევხვდე, მილიონი მილით რომ იყოს დაშორებული, გაივებს. უფრო მეტს გეტყვი: წუხელ, შუალამის ზუსტად ორის ოცდაორწუთზე ჩემი ცოლი ლოგინში წამოჯდა სწორედ იმ ზარის განგაშზე: ბრ-ბრ-ბრ-ბრ-ბრ!

დორისი – რა იცი, რომ ორის ოცდაორი წუთი იყო... თანაც ზუსტად.

ჯორჯი – ჩემ საათზე ხუთს ცამეტი წუთი აკლდა.

დორისი – ახლა რაიმე კარგი მომიყევი.

ჯორჯი – კი, ბატონო, შეიძლება არც კი დამიჯერო, მაგრამ იყო დრო, როცა საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი მეპარებოდა. ფილისმა გამიფანტა ეს ეჭვი.

დორისი – როგორ?

ჯორჯი – ადგა და ცოლად გამომყვა.

დორისი – კარგად მოქცეულა. დროზე ამოგდგომია მხარში.

ჯორჯი – ახლა შენი ჯერია, ჯერ ცუდი ამბავი მიაბე.

დორისი – ახლავე, (პაუზა) ძალიან მიჭირს...

ჯორჯი – რა გიჭირს? რომელი ამოირჩიო, არ იცი?

დორისი – არა... ვერ ვიხსენებ... ჰარი მამა აბრამის ბატკანია. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ.

ჯორჯი – მიუხედავად ამისა, შენ ერთი ცუდი ამბავი გამართებს..

დორისი – ეხლავე, ეხლავე... ეს არც თუ ისე ცუდი ამბავია, მაგრამ... ქორწინებიდან მეოთხე წლისთავზე ძალიან გაგვიჭირდა. ფეხმძიმე ვიყავი, ვალში ყელამდე ჩავეფალოთ, მაგრამ მაინც გადავწვეტიეთ, ერთი-ორი კაცი დაგვეპატიოყა. ჰარი ალკოჰოლს არ ეკარება, იმ დღეს კი სამი ლუდი დალია, აჭიკჭიკდა, და იცი, მეგობარს რა უთხრა: ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ჯარში გავატარეო.

ჯორჯი – მერე, რა? ჯარში სამსახურს ბევრი ახალგაზრდა არ ივიწყებს.

დორისი – ჰარიმ ჯარში გატარებული ოთხი წლიდან სამი იაპონელების ტყვეთა ბანაკში იყურეუტა! და სწორედ იმ ლხინის სუფრაზე თქვა, ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებიაო. განგებ არ უთქვამს, არც ჩემი გაბრაზება სდომებია; ჰარი, საერთოდ, არასდროს არავის აწყენინებს, მაგრამ ეს სიტყვები გულში მომხვდა. ახლა შემომფიცე, რომ ამას არავის ეტყვი.

ჯორჯი – რასაკვირველია, არ ვეტყვი.

დორისი – იცოდე, შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ვენდე... გინდა, კარგ ამბავსაც გიამბობ?

ჯორჯი – ერთი სული მაქვს-მეთქი, რომ ვითხრა, დამიჯერებ?

დორისი – მაინც უნდა მომისმინო. არ მინდა, ჰარიზე ცალმხრივი შთაბეჭდილება შეგექმნას.

ჯორჯი – რადგან არ იშლი, გისმენ, ბატონო.

დორისი – ჰარი ღონიერი, ზორბა კაცია...

ჯორჯი – რაღა მანდედან დაიწყე?

დორისი – ეს ისე ვთქვი... თორემ აკი ვითხარი, ბატკანივით უწყინარია-მეთქი. ჰო და, ყოველთვის ცდილობს, თითოეული ბავშვისათვის საგანგებო რაიმე მოიგონოს. ჩვენი ოთხი წლის ტონისათვის ვერაფერი ისეთი რომ ვერ მოიფიქრა, გადაწყვიტა, ფრანი გაეკეთებინა. ეს გასული წლის ზამთარში მოხდა, ერთ შაბათ დღეს, წავიდნენ ფრანის ასაშვებად, მაგრამ ჰარი არ იყო და არაფერი გამოუვიდათ. როგორც ვითხარი, ტონი ოთხისა იყო, მალე მობეზრებია ეს წვალეა და მამისათვის უთხოვია, თუ შეიძლება, მანქანაში ვიჯდებო. ჰარი დათანხმებულა. *(სიცილილი დაიწყო)* ერთი საათის მერე, ვბრუნდები სამრეცხაოდან და რას ვხედავ: ტონის მანქანაში არხეინად სძინავს, აქლოშინებული და აწითლებული ჰარი კი, რაც ძალი და ღონე აქვს, დარბის აღმადამა ფერდობზე და უშველებელ ფრანს დაათრევს: *(შეამჩნევს, რომ ჯორჯს არ ეცინება)* ისეთი საყვარელი იყო... გული აგიყუჩდებოდა.

ჯორჯი – გასაგებია, ელენსაც ბევრი კარგი თვისება აქვს.

დორისი – ელენი ვინლა?

ჯორჯი – ჩემი ცოლი.

დორისი – აკი ფილისი ჰქვიაო?!

ჯორჯი – მოგატყუე. ფილისი ჰქვია თუ ელენი, რა განსხვავებაა?

მაინც ცოლიანი ვარ და... მაპატიე ... აღნაბეჭდების დატოვება არ მინდოდა. არ გაგიჟდეს და ძებნა არ დამიწყოს-მეთქი...

დორისი – შენ ნამდვილად ჯორჯი გქვია?

ჯორჯი – აბა რა!

დორისი – რა ვიცით! რა ვიცით!

ჯორჯი – საკუთარი სახელის მოტყუება რაღა სისულელეა!

დორისი – შენზე სულელი ჯერ კაცი არ მინახავს.

ჯორჯი – რა არა ხდება ცხოვრებაში?! აი, ჩიტუნებივით ჩამოემსხდარვართ სასტუმროს ნომერში, შიგ თვალებში შეეცვიცინებთ ერთმანეთს, ჩვენ კი... ოჯახები გვაქვს და ექვსი შვილიც ცოცხალ კედლად აღმართულა ჩვენ შორის.

დორისი – ფოტოები თუ გაქვს წამოღებული?

ჯორჯი – რა!

დორისი – ბავშვების ფოტოები თუ გაქვს ჯიბეში?

ჯორჯი – მაქვს, მაგრამ... აქ... ეხლა... რა დროს ფოტოებია?!

დორისი – შენ თუ მიჩვენებ, მეც თანა მაქვს და... *(ჩანთიდან პაკეტს ამოიღებს)* აი, ხელავ? ეს პაკეტი „კოდაკის“ ფირმამ გვისაჩუქრა და ამაშივე ჩავალაგე. შენ სად ინახავ სურათებს?

ჯორჯი – *(უხალისოდ დააძრობს საფულეს)* მთელი საფულე უნდა გადაქექო!... *(დივანზე გადასხდებიან)*

დორისი – რა კარგი ბავშვები გყოლია! ეს უფროსია, სათვალე რომ უკეთია? რეიტუზი რომ აცვია?

ჯორჯი – ეგ მაიკლია. მაგარი ბიჭია!

დორისი – სუპერმენობა უნდა?

ჯორჯი – არა, პიტერ პენობა ურჩევნია... ეგ მაგიჟებს. *(სურათს ათვალიერებს)* ეს რატომ იჭყანება?

დორისი – ვინ? ჰოლი? კატერზე სეირნობის დროს გადაუღეს და... ძალიან ბუნებრივად გამოიყურება. აპარატმა დაინახა თუ არა, გული აერია.

ჯორჯი – მამას ჰგავს?

დორისი – ორივეს გვამსგავსებენ. შენ პაწაწას რა ჰქვია?

ჯორჯი – დები. ეს სურათი ორი წლის რომ გახდა, იმ დღეს გადაუღეთ. სანთლები ჩააქრე-თქო, ვეხვეწებოდი.

დორისი – და ტორტში ჩაყო თათი?

ჯორჯი – როგორც ხელავ... სიფაქიზით, მაინცდამაინც, ვერ დაიკვეხნის.

დორისი – რა კარგი შვილები გყავს, ჯორჯ!

ჯორჯი – გმადლობთ... შენც კარგი შვილები გყოლია!
დორისი – გმადლობთ... *(ერთმანეთს უბრუნებენ ფოტოსურათებს, ორივე სასწრაფოდ ინახავს, შემდეგ ერთმანეთს შეხედავენ და გაუბედავად ეხუტებიან... მერე ვნებიანად ეკვრიან ერთმანეთს, მერე შორდებიან... დორისი იხდის შლაპას)* კარგი... მხოლოდ... მერე აუცილებლად უნდა წავიდე, იცოდე!

მეორე სურათი

დრო: 1956 წლის თებერვალი.

ადგილი: იქვე.

იხსნება ფარდა. ჯორჯი საზოგადო კარზე დაჰკიდებს პლაკატს: „ბედნიერების ხუთი წელი“.

დორისი საბაზანოშია. ტანთ იცვამს. ჯორჯი ამოიღებს ტორტს და მავიდაზე ღებს. იქ უკვე დაუწყვია ორი თეფში და ჩანგლები.

დორისი – *(კულისებში)* უხ, შენი!

ჯორჯი – რა მოხდა?

დორისი – გამაწამა ამ „მხიარულმა ქვრივმა“.

ჯორჯი – ეგ ვინლაა?

დორისი – გრაცია. რაც გამოსაჩენია – ფარავს და რაც დასამალია ააშკარავებს. მოჭერთ კი ისე მიჭერს, სისხლი მიჩერდება, ძლივს ვსუნთქავ.

ჯორჯი – ვიდრე გამოხვალ, გამაფრთხილე, არ დაგავიწყდეს, იცოდე!

დორისი – *(კულისებიდან)* უკვე მოვდივარ.

ჯორჯი – ცოტა დამაცადე! *(როიალს მიუჯდება)* შემოდი! *(უკრავს და ძღერის: „რომ მცოდნოდა, მოხვიდოდი, ნამცხვარს ვამოვიცნობდი“.* შემოდის დორისი) გილოცავ! გილოცავ ხუთი წლის თავს, ჩემო დორის! *(შამპანურს ჩამოასხამს და დორისს მიაწოდებს)* დაჭერი ტორტი, ოღონდ რაიმე ჩაიფიქრე. *(დორისი დივანზე კედება, ტორტი რომ დაჭრას)* რა ჩაიფიქრე?

დორისი – მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს.

ჯორჯი – რომელი?

დორისი – ყოველ წელს რომ ჩამოხვიდე!

ჯორჯი – რაც მართალია, მართალია, ამაზე კარგს ვერაფერს ჩაიფიქრებდი.

ღორისი – ეს ორიგინალური ჩანაფიქრი არ გახლავთ, ამ იდეას ყავს თანაავტორი. ოლონდ, ეს კია: ორივე ერთდროულად და მოულოდნელად აღმოვჩნდით ამ ჭეშმარიტების წინაშე. სიმართლე უნდა გითხრა: პირველ წელს, არ მეგონა, თუ ჩამოხვიდოდი. გამოგიტყდები, მაშინ საკუთარ მაგნეტიზმს, მაინცდამაინც, ვერ ვენდობოდი.

ღორისი – შამპანური საიდან გააჩინე?

ჯორჯი – სანამ თქვენ იპრანჭებოდით, მოხუცმა ჩალმერსმა მოგვიტანა.

ღორისი – სიფრთხილე სულ დაივიწყე?

ჯორჯი – ღლეისათვის ჩვენი მოხუცი, ალბათ, უკვე აზრზე მოვიდა.

ღორისი – მეც ასე მგონია. იცი, როცა ჩაუვლი, თვალს მიკრავს ხოლმე.

ჯორჯი – თვალს კი არ გიკრავს, ავადმყოფური ჩვეულება აქვს ასეთი.

ღორისი – არ გადამრიო! მე კი ეს ხუთი წელი საპასუხოდ ვუპაჭუნებდი! (*პაუზა, ჯორჯი ღორისს ძაშტერდება*) რა მოხდა? ჩემი თმები არ მოგწონს?

ჯორჯი – რამდენჯერ უნდა გითხრა, ვგიჟდები შენი თმებისთვის.

ღორისი – ზედმეტად ხომ არ გავიბაცე? ერთი, ქალაქის საპარიკმახეროში უნდა შევიარო და თავს მივხელო.

ჯორჯი – რა ხდება თქვენთან, ქალაქგარეთ?

ღორისი – ჭუჭყი და ტალახი. მეტი რა უნდა მოხდეს. ბოლო დღეებია: ყველა მოლოდინში ვართ, კანალიზაცია უნდა ამუშავდეს. რასაკვირველია, სკოტ ფიცჯერალდისთვის და მისი მშვენიერი ჰელდასავით არ ვცხოვრობ, მაგრამ გაძლება შეიძლება.

ჯორჯი – ახლა არ მითხრა, კითხვა დავიწყეო.

ღორისი – ეგ რა არის?! „თვის საუკეთესო კლუბის“ წევრი გავხდი. სხვა წიგნებსაც ვკითხულობ.

ჯორჯი – ყოჩაღ!

ღორისი – შენი საქმეები როგორღაა? ისევ ნიუ-ჯერსიში ცხოვრობ?

ჯორჯი – არა, კონეკტიკუტში გადავედი. იქ ძველი ბუდელი ვიყიდეთ და გადავაკეთეთ.

ღორისი – როგორი გამოვიდა?

ჯორჯი – ცოტა უბერავს. ელენი, ამ ბოლო დროს, ოჯახის მორთვა – მოკაზმვაზე გადავიდა, ენერგიულად უტევეს. ასე მგონია, როცა მოკვდები და კუბოში ჩამასვენებენ, ვიდრე სახურავს დამაჭედებდნენ, ელენი ორი სხვადასხვა ნაჭრის ნიმუშს შემომიგდებს და შემომძახებს: „სულდარად რომელი მოგწონსო?“
აი, ესეც ცუდი რამ ჩემ ცოლზე.

დორისი – სხვა, ახალი არაფერია?

ჯორჯი – გოგო შეგვეძინა.

დორისი – მომილოცავს, სურათი წამოიღე?

ჯორჯი – ისე არ შემომიშვებდი და... *(სურათს უჩვენებს)*

დორისი – კარგი ბავშვია. იცი, რა მიკვირს? ჩვილ და თოთო ბავშვებს რომ ვუყურებ, ვგიჟდები, გაჩენა კი არ მინდა. შენის აზრით, ღაბრძინა, არა?

ჯორჯი – ალბათ. *(სივარას ამოიღებს)* გამომართვი, ნაღდი „ჰაგანაა“. ძლივს გადავარჩინე. ჰარის წაუღე.

დორისი – რას ამბობ? ჰარის გონია მონასტერში დავდივარ და ამას რომ მივუტან, რა ვუთხრა, კუბელმა მონაზონმა მომცამეთქი? *(ჯორჯი სივარას ჯიბეში ჩაიღებს)* მაიკლი რასა იქმს? დანარჩენი ბავშვები როგორ არიან?

ჯორჯი – მაიკლის ამბებს ნუ მკითხავ! ისევე ურევს. ხომ იცი, არდადეგებზე წერით დავალებას რომ აძლევენ ხოლმე: „როგორ გავატარე ზაფხული“, ეს ჩემი ყმაწვილიც აძლგარა და დაუწერია ყველაფერი, რისთვისაც იღვწოდა.

დორისი – ესე იგი?

ჯორჯი – უბიწობა რომ დაეკარგა! თანაც ეს „თხზულება“ ისეთი იუმორით არის თურმე შეზავებული, კინაღამ სკოლიდან გამორიცხეს.

დორისი – შენ ყველაზე ძალიან მაიკლი გიყვარს! ხომ მართალია?

ჯორჯი – მაიკლი რაღაცნაირი ბიჭია...

დორისი – გამოტყდი... ხომ ყველაზე ძალიან გიყვარს?

ჯორჯი – უნდა გამოგიტყდე! მაიკლი ძალიან კარგი ბიჭია. *(პკოცნის დორისს)*

დორისი – ეს ამბორი რითღა დავიმსახურე?

ჯორჯი – ყველაფრით. ამ უზრუნველი დასვენების დღეებით, თუნდაც წელიწადში ერთხელ; ამ პირობებით, არაფერზე რომ არ ვიდარდო. იმით, საჭირო რომ არ არის, რაღაცაზე პასუხი ვაგო

და ასე შემდეგ. ყველაფრისათვის გამაღლობ, დორის *(ვნებით ეხვევიან ერთმანეთს)*.

დორისი – უხ, შენი... ძლივს დავმშვიდდი და... *(ხვევნა-კოცნით საწოლისაკენ მიდიან, საწოლთან გაშშავებით კოცნიან ერთმანეთს და ლოვინზე ეცემიან. სწორედ ამ დროს რეკს ტელეფონი)*.

ჯორჯი – *(ტელეფონს მისწვდება)* ალო! ვისმენტ *(ვდება)* დიას, მამიკო გახლავართ. როგორ არის საქმეები? კბილი მოგძვრა? რომელი? აბა, რა! მოფრინდება მაგ შენი კბილის ფერია, ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლე! რასაკვირველია, ძალიან მინდა, მანდ ვიყო და შენი კიჭუნა ერთად ვეძებოთ, მაგრამ ხომ იცი, მამიკოს სამუშაო აქვს. ჰო, აქვე ვმუშაობ, ამ ოთახში; სიცოცხლე, დედიკომ იცის, რომ მირეკავ? არა უშავს, მალე მოვა. ძალიან კარგი ოთახია, დიდძო ნათელი... ბუნარიც არის, დივანიც. კედლის კარადაც. ძალიან გემრიელი საწ... სავარძლები; მეც ძალიან ვწუხვარ, მანდ რომ არა ვარ და ვერ გშველი, მაგრამ მამიკომ საქმეს უნდა მიხედოს, ჰო, ჩემო პატარა, მეც ძალიან მიყვარხარ... არა, მე უფრო მიყვარხარ... კარგად იყავი... ნახვამდის. *(ყურბილი დაღო)* დამნაშავე ვარ, აბა, რა ჯანდაბაა!

დორისი – დები იყო?

ჯორჯი – კბილი მოსძვრა, ვერ პოულობს და გიჟდება: ფერია ვერ გაიგებს, არ მოფრინდება და ახალი აღარ ამომივით. რა ხმა აქვს, გაგაგიჟებს... ერთს დაიჟღურტულებს და როგორც უნდა, ისე მახურთავებს...

დორისი – რომ არ გეთქვა, მაინც მივხვდებოდი, სახეზე გაწერია.

ჯორჯი – მერე? სასაცილოა?

დორისი – ყველაფერი მესმის, ჩემი კარგო, მაგრამ ეს დაუსრულებელი წუწუნი და მონანიება, ხომ იცი, რომ მაინც ვერ გიშველის?!

ჯორჯი – დორის, ჩემი გოგო მირეკავს და მეუბნება: მამიკო, მე შენ მიყვარხარო! მე კი, ვნებისგან ჯერ კიდევ დაუმცხრალი ხმით, რაღაც სისულელეს ვპასუხობ...

დორისი – გასაგებია, ჯორჯ.

ჯორჯი – შენ არასოდეს არ გრძნობ თავს დამნაშავედ?

დორისი – ხანდახან.

ჯორჯი – რომ არაფერს ამბობ?

დორისი – სხვაგვარად ვინელებ.

ჯორჯი – როგორ?

დორისი – უსიტყვოდ... შიგნით...

ჯორჯი – ზოგ ურთიერთობაში კაცები ქალებზე უფრო მგრძობიარენი არიან.

დორისი – შამპანურს დაგისხამ, თუ გინდა.

ჯორჯი – ქალები უფრო პრაგმატიკოსები არიან...

დორისი – რატომ?

ჯორჯი – უფრო ადრე ეჩვევიან გახრწნილებას... ესეც არ იყოს, ზურგს ეკლესია რომ გიმაგრებს, დიდი ძალაა.

დორისი – რაო? ეკლესიაო?

ჯორჯი – შენ რა გიჭირს, კათოლიკე ხარ? წახვალ აღსარებაზე და მთელი ცოდვა ჩამორეცხილია. მე კი სულ თან უნდა ვატარო, ცოდვაა თუ დანაშაული.

დორისი – კათოლიკობა ბევრ ისეთ რაიმესაც გულისხმობს, რაზედაც შენ წარმოდგენაც არა გაქვს.

ჯორჯი – არ გესმის და რა ვქნა?! ფერიაზე რომ დამიწყო ლაპარაკი... ჩემზე ძალიან იმოქმედა... აღარაფერს ვამბობ, ამ ოხერი კუჭის აშლილობაზე. ვერ წარმოიდგენ, როგორ დავიტანჯე.

დორისი – ჯორჯ, ნუ გავიწყდება: მეც სამი შვილი მყავს!

ჯორჯი – ვიცი, ვიცი, მახსოვს... ის კი არ მითქვამს, საერთოდ არაფერი გესმის-მეთქი. უბრალოდ, მგონია, რომ ჩემი დანაშაული შენსაზე მძიმეა.

დორისი – მერე, რას აპირებ? დამნაშავეთა კონკურსი ხომ არ გინდა ჩაატარო? ამით საქმეს ეშველება?

ჯორჯი – აბა რა ვქნა, დორის?

დორისი – რა და, ძალიან დამავალე, თუ ამაზე აღარ ილაპარაკებ. ასე ხომ უფრო იტანჯავ თავს.

ჯორჯი – მეტი ტანჯვა რაღაა? მირეკავს ჩემი პატარა გოგო და ... წკრიალა ხმით... მართალი ხარ, დორის! უნდა დავივიწყო ყველაფერი! მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, მომიყევი რაიმე კარგი ამბავი ჰარიზე.

დორისი – დიდი სიამოვნებით. ჰარი გაკოტრდა.

ჯორჯი – სხვის ტელევიზორებს ყიდდა და თვითონ როგორ გაკოტრდა?

დორისი – როგორც კომივოიაჟორი. ჰარის აქვს ერთი ამ ხელობისათვის გამოუსედაგარი თვისება: მყიდველს ურჩევს, არ იყიდოს, რისი ყიდვის შნოც არა აქვს. გამომალვა არ შეუძლია და ამიტომაც მომწონს ჰარი. ერთი სიტყვით, ამჟამად უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით ერთობა. ახლა შენი ჯერია.

ჯორჯი – ხომ ვიამბე?

დორისი – ცუდი, ღიახაც, მიაბბე. რატომ გიყვარს პირველად ცუდი ამბის მოყოლა?

ჯორჯი – რა ვიცი: პირველად, მაინცდამაინც, ცუდი ამბავი მომადგება ხოლმე პირზე.

დორისი – ახლა კარგი რამ მიაბბე.

ჯორჯი – ჩვენმა შუათანამ, კრისმა, ბაღში მოსარწყავი მოწყობილება რომ არის, ხომ იცი, აი, წვიმასავით რომ აფრქვევს წყალს, იმაზე ფეხი გაიჭრა და ელენმა ორივე საავადმყოფოში გაგვაქანა.

დორისი – შენ რატომღა?

ჯორჯი – გული წამივიდა. კარგი ამ ამბავში ის არის, რომ არავისთან არ გამამხილა.

დორისი – გული ხშირად მიგდის?

ჯორჯი – უკიდურეს შემთხვევაში.

დორისი – სისხლის დანახვაზე?

ჯორჯი – დორის, გემუღარები... მუცელი ისედაც ბუყბუყებს... იცი, რა უნდა ვითხრა... აი, ამ წუთას ერთი აზრი მომივიდა თავში, ხომ არ გეწყინება, ცოტა ადრე რომ წავიდე?

დორისი – როდის ადრე?

ჯორჯი – მგონი, ნახევარ საათში უნდა იყოს ერთი რეისი.

დორისი – ოცდასამი საათით ადრე გინდა წასვლა?

ჯორჯი – ყური დამიგდე, დორის, მე ყოველთვის მესმის შენი და შენ რატომ არ გინდა გამიგო? დედა რომ არ იყო, ადრე წასვლაზე კრინტსაც არ ღავძრავდი: ეს უბედურება რომ არ მომხდარიყო, წასვლა აზრადაც არ მომივიდოდა! (*ჩემოდანს საწოლთან მიიდგამს და ალაგებს*) საქმე არც ზღაპრებშია და არც ფერიებში. ეგებ, კბილი გადაეყლაბა? ღმერთმა უწყის, სად გაეჩხირება!! რა თქმა უნდა... ვიცი... უპატრონოდ გტოვებ... მაგრამ ხომ არ გეჩქარება? ოთახის ფულიც გადახდილია. ჩემი თმის ჯაგრისი არ გინახავს? შენთვისაც უკეთესია, თუ გავეფრინდები; ასეთ ხასიათზე, არა მგონია, ვინმეს ესამოვნოს ჩემთან ურთიერთობა (*დორისი თმის ჯაგრისს ესვრის. ჯაგრისი ჯორჯს ჩაუჭოჭუნებს და კედელს მიენარცხება; სიჩუმეა*) გეწყინა? მესმის. მესმის! მაგრამ ნუთუ ვერა ხვდები, რომ ამ გამგზავრებას ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვს? დორის, შინ ავადმყოფი ბავშვი მელოდება! ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს?!

დორისი – თავი დამანებე, თუ კაცი ხარ, რა შუაშია აქ კბილის ფერიაა თუ ვილაცა?! უბრალოდ, ისევ შენი ცოდვები გტანჯავენ და გგონია, ჩემგან თუ გაიქცევი, მონინი და ეგ არის!

ჯორჯი – დიახ, თავს დამნაშავედ ვგრძნობ! რა მოხდა მერე? დორის, ჩვენ ხომ მატყუარები ვართ! წელიწადში ერთხელ ჩვენ ვატყუებთ ჩვენს ოჯახებს, საიდუმლოდ ვხვდებით კალიფორნიის ერთ-ერთ სასტუმროში და მათ ვლაღაობთ. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, ნულარ შეხვდებით-მეთქი. მაგრამ ცოდვას, დიახაც ვიღებ კისრად... ვალიარებ კიდეც!

დორისი – მართალია, მაგრამ ძალიან ხმამაღლა ხომ არ მოგდის? ცოტაც და შენდობისათვის ქუჩაში გამსვლელებსაც გააჩერებ. საკვირველია, შენს ტრუსებსზე აქამდე ხომ არ ამოქარავს წითელი „ა“ – „ა ღულტერი“, შენდა სამწუხაროდ, ეს ძველი წესები დაივიწყეს. რა გგონია? ამ ლაყობაში ცოდვა შეგიმსუბუქდება? დაბორიანობ და ერთი და იგივეს იმეორებ: „იცით, მე ცოლს ვლაღაობ, მაგრამ ამავე დროს, ძალიან ვიტანჯები! ხომ ხედავთ! ესე იგი, ფაქტიურად, მე კარგი ადამიანი ვარო!“ მეტს გეტყვი: შენ კიდეც გყოფნის ენით აუწერელი სითავხედე, იფიქრო, რომ მთელ ქვეყანაზე მხოლოდ შენა ხარ ნამუსიანი! არა, ჩემო ბატონო. კარგი ადამიანი შენ ვერ იქნები. სინამდვილეში, გითხრა, რაც გამოიძინარ? ერთი ადგილი, რაზედაც ზინარ! საჯდომი!

ჯორჯი – დორის! შენ უფრო მომწონდი, ვიდრე „თვის საუკეთესო წიგნის კლუბში“ ჩაეწერებოდი. წარღვნა ჯერ არ იწყება! არც მე გტოვებ სამუდამოდ. მომავალ წელს ისევ შეხვდებით.

დორისი – ასე ფიქრობ?

ჯორჯი – ეგეთი უგულო თუ იყავი, არ მეგონა. რამდენიმე საათით ადრე მივდივარ და მთელი ჩვენი ცხოვრების მიზანს უნდა უღალატო!?

დორისი – ასეთ შეხვედრას რა აზრი აქვს?

ჯორჯი – ნუ ცდილობ, ითავაკაცო, მაგას ნუ იზამ! ეგ შინაც გეყოფა, დორის! ჩვენ შეხვედრებს სხვა მნიშვნელობა აქვს.

დორისი – მაინც რა?

ჯორჯი – ვითომ არ იცი.

დორისი – ვიცი, მაგრამ რაც მე ვიცი, ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც შენ გულისხმობ, აი, სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ შეხვედრებს უნდა მოვეშვათ.

ჯორჯი – სერიოზულად მეუბნები?

დორისი – აბა რა! დანაშაულზე წუწუნითა და გოდებით საკვებ შეხვედრებს რა სიხარული მოაქვს?

ჯორჯი – დორის, მე ხომ რაღაც ვაღიარებულვარ მაქვს... ოჯახი.

დორისი – აქ ასეთი რამ არ არსებობს?

ჯორჯი – აქ მხოლოდ ერთი ვაღიარებულვა: ჩამოვიდეთ ყოველ წელს!

დორისი – მერე სასწრაფოდ ჩავწვით ლოგინში და წამოვდგებით თუ არა, შინისკენ მოვკურცხლოთ?

ჯორჯი – შესაძლოა, ვცდები... ვინ არ შემცდარა...

დორისი – მათ შორის, თქვენი მონა-მორჩილიც... მეც... მეც...

ჯორჯი – შენ სხვა ხარ, შენ ძლიერი ხარ. ასე მგონია, შენ ყველაფერი შეგიძლია.

დორისი – ძლიერი... ამ თორმეტ თვეში თორმეტჯერ მაინც ვეცი ტელეფონს, რომ დამერეკა. თავს ვერაფრით ვუშველე, სულ შენზე ვფიქრობდი. ყოველ წამს თვალწინ მედექი და ისე მაფორიაქებდი, ლამის კედლებზე მეარა. რასაკვირველია, მეც ვგრძობ თავს დამნაშავედ; ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, აღარ შეგხვედროდი. დღეს აღარ მინდოდა ჩამოსვლა. მაგრამ ვიფიქრე, ახსნა-განმარტება აუცილებელია-მეთქი. ამიტომ, გეახელით... მაგრამ როგორც კი, აი, ეს კარი შემოაღე, მივხვდი: რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა დამემართოს, შენგან წამსვლელი არა ვარ!

ჯორჯი – ო, ღმერთო ჩემო, რა დამნაშავე ვარ, რა დამნაშავე ვარ, ვინ იცის!

დორისი – ჯორჯ, მგონი, უკეთესია, წახვიდე...

ჯორჯი – დორის, მე შენ მიყვარხარ! იდიოტი ვარ, ალბათ, ცოტა მიქრის კიდევ და, რა თქმა უნდა, დიდი განძი და შენაძენი არ უნდა ვიყო შენთვის, მაგრამ ძალიან, ძალიან მიყვარხარ! თუ არ გეწყინება, დავრჩები. თუ შეიძლება, დავრჩები რა? *(გაღიძობული დორისი ჯორჯისაკენ შემობრუნდება, ერთმანეთს ჩაეხვევიან)* აბა, კარგად დაფიქრდი და მიპასუხე: ნეტა ესლა რა უნდა გავაკეთოთ?

დორისი – ერთმანეთს ჩავეხუტოთ... მაგრა... მაგრა... დილაძე...

ფარდა

მესამე სურათი

მოქმედების დრო: 1961 წლის თებერვალი.

მოქმედების ადგილი: იქვე.

იხსნება ფარდა: ჯორჯი ტელეფონით ლაპარაკობს: ეს-ეს არის შემოსულა: ლაბადა და ქუდი ჯერ არ გაუხდია. საწოლთან გაუხსნელი ჩემოდანი ღევს.

ჯორჯი – *(ტელეფონში)* რას ამბობთ? ვინ გითხრათ? ვინ მივატოვე? ელენი? არ მიმიტოვებია, არა! საქმეზე ვარ წამოსული. აქ ყოველ წელს ჩამოვდივარ. არა, როგორ გეკადრებათ, პრობლემებს სად გაექცევით?! მესმის, კარგად მესმის, კარგადაც ავწონ-დავწონე ყველაფერი; მაგრამ არა მგონია, ეს საკმარისი მიზეზი იყოს, ამ სიშორეს რომ მირეკავთ და იხარჯებით. რა ექიმი? ჰო, ვიყავი. რა უნდა ეთქვა?... ისეთი არაფერი... ადრე თუ გვიან, ყველას ემართება, მათქმევინეთ, მათქმევინეთ, თუ შეიძლება!... რახან საუბარი, მაინცდამაინც ამაზე გნებავთ, კეთილი ინებეთ და სწორად მაინც გამოთქვით: იმპოტენცა კი არა, იმპოტენცია! ვერ გამიგია, რას მეკითხებით? როგორ თუ დროულად აღმოვაჩინეთ თუ არა? ეს ინფექციური დაავადება ხომ არ არის?! რეფლექსები მომეშალა... ოდნავ! როგორ არ გესმით? თქვენ საიდან იცით? როგორ გაიგეთ? რას მიგანიშნებდათ? მოდი და ნუ გაგიჟდები! მათქმევინეთ, მათქმევინეთ, თუ შეიძლება! სულაც არ მინდა, ეს საკითხი ფართო განხილვებისა და პაექრობის საგანი გახდეს; მალე ყველაფერი მოგვარდება... ვიცე, ბატონო, და რა ვქნა?! დიახ, დიახ, აქ მაქვს შეხვედრა სწორედ მაგ საკითხის სპეციალისტთან. არა! არა-მეთქი და მოდით, მეტს ნულარ ვილაპარაკებთ. დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ ყურმილი უნდა დაკვიდო... ნახვამდის; თქვენისთანა ძვირფასი სიღვრე რომ არა მყავდეს, რა მეშველებოდა? *(ყურმილს დაახეთქებს და ჩემოდანს გახსნის, ამოიღებს პიჯამოს, ხალათს და საბაზანოში შევა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ იღება საზოგადო კარი და შემოდის კარგა მაგრა ორსული დორისი. ჩემოდანს ჯორჯის ჩემოდანს მიუღვამს საწოლთან. შემდეგ საბაზანოსთან მივა და ეძახის)*

დორისი – ჯორჯ!

ჯორჯი – *(კულისებიდან)* ახლავე, დორისი, ძვირფასო! *(დორისი ბუხართან მივა, ძლივს დაიხრება და წვალებით ანთებს ცეცხლს.*

დორისი ზურვით დვას, როცა საბაზანოდან პიჯამოსა და ხალათში გამოწყობილი ჯორჯი გამოვა) გამარჯობა, ჩემო კარგო! (დორისი შემობრუნდება. თავზარდაცემული ჯორჯი, თითქოს ფეხები მოკვეთესო, იატაკზე დაგდებულ ბალიშზე ჩამოჯდება).

დორისი – აბა, თუ მიხვდები, რა მჭირს?

ჯორჯი – ეგ რა გიქნია?

დორისი – გამოვიტყდები და მხოლოდ ჩემი დამსახურება არ გახლავთ, მოწინააღმდეგე მხარეებს ცდა არ დაუკლიათ. ჩემო კარგო ჯორჯ, როცა დიდი ხნის უნახავ ძველ მეგობარს ხვდებიან, ჰკოცნიან და ეხვევიან ხოლმე.

ჯორჯი – აბა რა?! აბა რა?! (კოცნის).

დორისი – ხომ კარგადა ხარ?

ჯორჯი – ძალიან... ოღონდ ცოტა გამიკვირდა... რაც მართალია, მართალია,

დორისი – გაუკვირდა ყმაწვილს! შენ რა გგონია, რად ჩამოვედი? რატომ ჩავიცვამს ეგ პიჯამო და ხალათი, ჯერ ხომ შუადღეა?

ჯორჯი – ვვარჯიშობდი.

დორისი – ჯორჯ, შენ, მგონი, რაღაცას აპირებ?!

ჯორჯი – არა, აღარ ვაპირებ... ალბათ, რვა თვის იქნები...

დორისი – ცოტა მეტის; მაგრამ ნუ გეშინია, ამას არა აქვს მნიშვნელობა. დავფიქრდებით და რაიმე ახალს გამოვიგონებთ.

ჯორჯი – შესანიშნავია! აბა, რა წინადადება გაქვს?

დორისი – ჯერ ცოტა დამელაპარაკე.

ჯორჯი – ლაპარაკი შინაც მეყოფა.

დორისი – მე კი, როგორც ხედავ, სექსი მაქვს ყელში ამოსული. მხოლოდ ლაპარაკით არ ვკმაყოფილდებით.

ჯორჯი – ამით რა გინდათ სთქვათ?

დორისი – რა მოგივიდა, ძვირფასო?

ჯორჯი – „რა მოგივიდა?“ რა და, მთელს ამერიკაში, მაინცდამაინც, მე ვარ ის ერთადერთი იდიოტი, რომელიც ქალთან საიდუმლო პაემანზე მივიდა და ხახამშრალი რჩება. არც ის სუძრობა მესმის, სექსი ყელში მაქვს ამოსულიო. ტყუილად გგონია, რომ ნორმალური მოთხოვნილებები ან შენი სურვილი გამითავდა...

დორისი – ეგ რატომ უნდა ვიფიქრო? ჯერ ისევ კარგად მუშაობ. იმის თქმა კი მინდოდა, რომ აქ, ამ ამბის გარდა, სხვა ბევრი რაიმე მიზიდავს, მთელი წელი გულის ფანცქალით ველოდები, ჩამოსვლის დრო როდის დადგება. თუ სადმე ვგრძნობ თავს კარგად, ეს აქ, ოთახში. შენ, ჯორჯ?

ჯორჯი – მეც... მეც... აქაურობას რა სჯობს! მაპატიე; შენ ამ მდგომარეობაში, ამხელა მუცლით, ცხრა მთას იქიდან ჩამოგრიალდი, თანაც მანქანით, მე კი ამ იდიოტური ლაპარაკით გულს გიწვრილებ, მაპატიე... თუ გინდა, მაშინდელივით, რაიმე გამომიქანე.

დორისი – ამას კი გაპატიებ, სხვა რამ კიდევ თუ არ გაწუხებს!

ჯორჯი – არა, არა, ისეთი არაფერი... სალაპარაკოდ არ ღირს.

დორისი – დიდიხანია შევამჩნიე. ჩვენი შეხვედრა რაღაც უხერხულად იწყება. მაგრამ იცი, რა მამშვიდებს? ყველა პრობლემას სწრაფად ვწყვეტთ... ზეწარქვეშ...

ჯორჯი – ჩემო სიცოცხლე, რადგან დღეს ასეთი რამ არ მოგველის, ეგებ არ გავიხსენოთ!

დორისი – ჩემო ძვირფასო, მგონი, დადგა დრო, დაიძრას ეს ყინული?

ჯორჯი – შენი ყოველი წინადადება ჩემთვის კანონი იქნება.

დორისი – გინდა, ისეთ საიდუმლოს გეტყვი, არავისთვის რომ არ მითქვამს; მერე შენც ასევე გამანდობ შენეულ საიდუმლოს:

ჯორჯი – სიძარტლე თუ გინდა, ერთი სიურპრიზი კმარა... გულმა შეიძლება მეტს ვეღარ გაუძლოს... მაგრამ მოდი, მითხარი. მოხდეს, რაც მოსახდენია!

დორისი – ეს მოგეწონება: ამ ბოლო დროს სექსუალურ სიზმრებში გხედავ.

ჯორჯი – დიდი ხანია?

დორისი – არა, მაგრამ ყოველდღე ამ მესიზმრები.

ჯორჯი – ხომ კარგად ვიქცევი? მაინც რა გესიზმრება?

დორისი – მესიზმრება, რომ ერთად ვართ. მაგრამ სულ წყალქვეშ... გროტებში. აუზებში, მღვიმეებში... უცნაურია, არა? ორსულობის ბრალი თუა?

ჯორჯი – მაინცდამაინც წყალქვეშ?

დორისი – აბა, ახლა შენ გამიმხილე რაიმე შავბნელი და ღრმა საიდუმლო.

ჯორჯი – ცურვა არ ვიცი.

დორისი – მართლა?

ჯორჯი – რახან გეუბნები, არ ვიცი-მეთქი, არა მცოდნია და ეგ არის... ამას რად უნდოდა ასჯერ გამეორება?

დორისი – ისე გკითხე, ჰო, რა მოგივიდა? რატომ არ იცი?

ჯორჯი – ბავშვობაში არ მასწავლეს... ელენმა ეს ერთხელ შემთხვევით გამოარკვია: ხელი მკრა და ცოტა შემალღებული ნაპირიდან ზღვაში გადამიძახა. კინალამ დავიხრჩე. ბავშვებმა არ იციან, ცურვა რომ არ ვიცი. პლიაჟზე როცა ვართ, მუხლი მტკივა-მეთქი, ვეუბნები.

დორისი – მუხლი მართლა გტიკვა?

ჯორჯი – არა! და ესეც არ იციან ბავშვებმა.

დორისი – აი, ხედავ, ჩემმა იდეამ ნაყოფი მოგვცა: ახლა ჩვენ ისე ვსაუბრობთ, როგორც ყველა ნორმალური შეყვარებული. *(კიდისკენ მიიწეკვა, ფეხებს დივანზე ააწყოფს)* ოჰ, ღმერთო ჩემო... ეტყობა, ეტელ კენელის ნამდვილად უყვარდა ბავშვები, თერთმეტ ორსულობას რომ გაუძლო

ჯორჯი – რაც დროს გადის, უფრო და უფრო ვბრაზობ, ასე რომ შეგხვდი... დორის, ძალიან მიხარია შენთან ყოფნა.

დორისი – ეგებ, მაინც მითხრა, რა გაწუხებს?

ჯორჯი – მართლაც და რატომ არ უნდა გითხრა? რა არის ამაში სასირცხვილო? საქმე ჩემს სქესობრივ ურთიერთობებს ეხება... ელენს... ამ ბოლო დროს... რაღაც ვერ გამოსდის...

დორისი – სექსი აღარ აინტერესებს?

ჯორჯი – მაგას ვერ ვიტყვი. ღმერთია მოწმე, ძალიან ცდილობს. მაგრამ მე რას მოგტყუვდება: ელენი ცდილობს... მხოლოდ ცდილობს... ეგ არის და ეგ.

დორისი – მიზეზი თუ გაქვს რამე?

ჯორჯი – სექსზე ელენს მუდამ რაღაცნაირი აზრები ჰქონდა. სექსი მისთვის ორგანიზმის ჯანსაღი, ნორმალური და სასიამოვნო ფუნქციაა. ეს ხომ ნამდვილად დამახინჯებული აზრია.

დორისი – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კათოლიკე ხარ.

ჯორჯი – შენ ხუმრობ, მაგრამ სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობასაც ხომ უნდა ვითვალისწინებდეთ? ჩემის აზრით, ადამიანი ცოტა სინდისის ქენჯნას თუ არ განიცდის, სიამოვნების ნახევარი მაინც იკარგება. ელენისთვის სექსი ყოველთვის სუფთა, ჯანსაღი გართობა იყო. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ მობეზრდა. ასე თუ ისე, რაღაც მიზეზით, ჩემი მოთხოვნა გაიზარდა, იმისი კი იკლებს...

დორისი – უცნაურია! ცხოვრებაში პირიქით ხდება ხოლმე...

ჯორჯი – *(თავდასაცავად)* ახლა არ მითხრა, მატყუებო?!

ღორისი – არ მატყუებ, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, ასე რამ ავაფორიაქა?!

ჯორჯი – ნუ გიკვირს. ცოტა უცნაურია ასეთი რამეების ლაპარაკი... თანაც ელენი აქ არ არის და თავდასაცავად ვერაფერს იტყვის.

ღორისი – არ შეგიძლია, ეგენი გამოტოვო და პირდაპირ გადახვიდე შენი მოხსენების ოფიციალურ ნაწილზე?

ჯორჯი – ელენზე ვიამბო?

ღორისი – დიახ.

ჯორჯი – ახლავე... დღეს კარგი ამბიდან დავიწყებ.

ღორისი – ადრე ცუდიდან იწყებდი... რა გემართება? გულკეთილი ხდები?

ჯორჯი – დაცინვას კაცი არ მოუკლავს! ჰო და, ლონდონში გახლდით. სასტუმროში რომ ჩამოვხტით, კართან ერთი შავპიჯაკიანი კაცი იდგა. ელენმა არც აცია, არც აცხელა, ჩემოდნები მიაჩნა და ვესტიბიულში შებრძანდა. კაცი დაეწია ელენს და ღრმად ზრდილობიანი კილოთი უთხრა: მე სასტუმროს მსახური კი არა, დანიის ელჩი ვარო. თვალიც არ დაუხამხამებია, ელენმა უპასუხა: „ო, რა კარგია! გვითხარით, გეთაყვა, რომელია საუკეთესო რესტორანი კოპენჰაგენშიო?“ ელჩი ისე დაიბნა, მართლაც ჩამოუთვალა საუკეთესო რესტორნები. გესმის? თვალსაც არ დაახამხამებს... რაც უნდა იდიოტურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს... ეს მართლაც მომწონს.

ღორისი – აბა, რა არ მოგწონს?

ჯორჯი – მისი, ასე ვთქვათ, იუმორი! ერთხელ სტუმრად ვიყავი, დავბრუნდით, დავწექით... ერთი სიტყვით, არაფერი არ გამომივიდა... ამაზე ბევრი ვიცინეთ... მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ, როცა თითქმის უკვე მეძინა, ელენმა ხმამაღლა თქვა: მართლაც სასაცილოა: „ბუღალტერს ცოლად რომ მივყვებოდი, მეგონა, ჯერ თვალები უმტყუნებდაო“.

ღორისი – ესე იგი, პრობლემები შენა გქონია და არა ელენს?!

ჯორჯი – დიახ, ზოგიერთი პრობლემა მეც წამომეჭრა. რა გაეწვობა, ახლა ეს ხუთმა კაცმა ვიცით: მე, შენ ელენმა და დედამისმა.

ღორისი – მეხუთე?

ჯორჯი – მეხუთე ჩეტ ჰანტლი გახლავთ, ტელევიზიის უპოპულარესი კომენტატორი. დარწმუნებული ვარ, ჩემმა სიდედრმა უკვე ყველაფერი ჩაუჭიკჭიკა ახალი ამბების პროგრამისათვის.

(*ღორისი ხელს გაუწვდის*) ღორის, ვერ გაიგე, რა გითხარი? მოლოცვა უნდა ეხლა ამას?

ღორისი – ამაყენე, თუ შეიძლება (*ჯორჯი ეხმარება და ისიც წამოღდება*) აბა, რა გითხრა, ჩემო კარგო, რით გაგახარო?

ჯორჯი – მოდი, ჩემს საქმეზე ნულარ ვილაპარაკებო. ეს, მართლაც, არ მსიამოვნებს.

ღორისი – მაშ, რაზე ვილაპარაკოთ?

ჯორჯი – საქის გარდა, რაზეც გნებავს... თუნდაც ორსულობაზე.

ღორისი – ჯერ გავგიჟდი, გადავირიე... მერე პრაგმატულად შევხედე ფაქტს... ბოლოს ისევ დედაშვილობის გრძნობამ დამამშვიდა. ზუსტად ასე დამემართა, ამ თანმიმდევრობით...

ჯორჯი – შენი ლექსიკონი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ღორისი – შენ არც კი იცი, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს რომ ელაპარაკები.

ჯორჯი – მართლა?

ღორისი – ორსულობის პირველი სამი თვე უნდა ვწოლილიყავი. ვიფიქრე, დრო უქმად რატომ ვკარგო-მეთქი და დაუსწრებელზე ჩავეწერე.

ჯორჯი – ყოჩაღ!

ღორისი – ბედის დაცინვა, თუ გინდა ეს არის!

ჯორჯი – რატომ?

ღორისი – იმიტომ, რომ თავის დროზე სკოლა ორსულობის გამო ვერ დავამთავრე. ახლა სწორედ ორსულობის გამო დავამთავრე. ეს ჩემს ლტოლვას წესრიგისაკენ მალამოსავით ედება.

ჯორჯი – რომ არ გეთქვა, არც ვიფიქრებდი, წესრიგი თუ იცოდი, რა იყო.

ღორისი – ეგ რამ გათქმევინა? ეგ ხომ უსამართლობაა! შინაურ საქმეებს ახლა გაცილებით კარგად ვაბამ თავს. დაუთოებაში მხოლოდ ორი წუთითღა ჩამოვრჩები. ალბათ, ბუდისა თუ ბუნაგის ინსტინქტი იღვიძებს ჩემში. ატესტატი ფოსტით მივიღე, იმ დღეს ჰარიმ დიდი კორსაჟი მიყიდა. ცეკვებზე წამიყვანა და მერე ნაყინით გამიმასპინძლდა. აი, ესეც, კარგი ამბავი ჰარიზე.

ჯორჯი – ისევ უძრავი ქონებით ვაჭრობს?

ღორისი – არა, დაზღვევაზე გადავიდა. ეს საქმე მოსწონს, რადგან დრო რჩება და ჯარის მეგობრებს ნახულობს...

ჯორჯი – ჩემო ღორის, ეგრე ნუ ზინხარ, დაილღები!

დორისი – ჩემ დღეში ვინც არის, მოხერხებულად ვეღარ დაბრძანდება.

ჯორჯი – როგორ გეკადრება! აბა, აქ გადმოჯექი, აი აქ... ასე... აქ უკეთ იგრძნობ თავს. *(საწოლზე დასვაძს, ფეხსაცმელს გახლის)*

დორისი – გმადლობ... ბავშვები როგორ არიან?

ჯორჯი – მაიკლი „ასოშეიტელ პრესში“ მუშაობს.

დორისი – აი, ეს მესმის! საამაყო შვილია და მეც ვამაყო *(შეატყობს, ჯორჯი რომ მოშტერება)* რა მოხდა?

ჯორჯი – რა უნდა მომხდარიყო?

დორისი – ჩემი მუცელი გაგიჟებს?

ჯორჯი – რა სისულელეა! მიაბე რამე ჰარიზე!

დორისი – ჯერ ვერ ვუბნებოდი, ორსულად ვარ-მეთქი. ძლივს გავბედე და იცი, რა მიპასუხა: „აი, ახლა დავრწმუნდი, ტკბილი სიბერე გექნებაო“. ჯორჯ, რა გემართება?

ჯორჯი – მრცხვენია, ვერ გეტყვი...

დორისი – ვისი გრცხვენია?

ჯორჯი – რომ გიყურებ... ერთი სიტყვით, მთლად გავთახსირდი...

დორისი – რამდენიმე თვეა ასეთი სასიამოვნო სიტყვები არ გამიგონია

ჯორჯი – არ გეხუმრები.

დორისი – არც მე... მერე არ გიხარია?

ჯორჯი – რა უნდა მიხაროდეს? იცი, რა გამახსენდა: ბავშვობისას ბიძაჩემმა ნახევარი დოლარი მაჩუქა. მთელი ორი მილი ვირბინე საკონდიტრომდე და... დაკეტილი დამხვდა... ძალიან გთხოვ, მაპატიე! *(როიანს მიუჯდება და შოპენის მეთორმეტე ეტიუდს უკრავს. გაკვირვებული დორისი საწოლიდან წამოდგება და უახლოვდება)*

დორისი – წარმოუდგენელია! მართლა ასეთი კარგი პიანისტი ხარ თუ მეჩვენება?

ჯორჯი – რა გეჩვენება?

დორისი – რომ ძალიან კარგად უკრავ.

ჯორჯი – არც ისე კარგად, როგორც გეჩვენება.

დორისი – კი, მაგრამ... ეს როიალი ათი წელია აქ დგას... არასდროს არ მიკარებინარ და დღეს რა დაგემართა, კლავიშებს რომ ამტვრევ?

ჯორჯი – შოპენი უფრო ეფექტურია, ვიდრე ცივი შხაპი... ამ დროს...

დორისი – უკეთეს რამეს გეტყვი! მოდი აქ... მოდი...
ჯორჯი – *(ღვება, დორისი საწოლისკენ ექაჩება)* დორის...
დორისი – ნუ გეშინია...
ჯორჯი – რომ არ შეიძლება?
დორისი – ვიცი, ვიცი, რომ არ შეიძლება...
ჯორჯი – როგორ, დორის, როგორ?
დორისი – როგორმე... ნუ ღელავ, ჩემო კარგო! *(ჭკოცნის, ხარბად ჭკოცნიან ერთმანეთს, უეცრად ჩაიკეცება ტკივილისაგან სახედაღრევილი)*
ჯორჯი – რა მოგივიდა? რა მოგივიდა, დორის? ღმერთო ჩემო, რა ხდება?!
დორისი – მესსიერება თუ შემრჩა, ჭინთვები დამეწყო.
ჯორჯი – რას ამბობ?! ალბათ, კუჭი აგტკივდა.
დორისი – არა, ჩემო კარგო... ძალიან დიდი განსხვავებაა...
ჯორჯი – დაიჩემებ ხოლმე...
დორისი – კუჭი თუ აგეშალა, ტკივილისაგან თვალები არ გადმოგცვივდება, ხომ მართალია!
ჯორჯი – რა დროს ჭინთვებია?! როდის უნდა გემშობიარა?
დორისი – ორი კვირის მერე.
ჯორჯი – ღმერთო, ეს რა ვქენი!
დორისი – შენ რა შუაში ხარ?
ჯორჯი – სულ ჩემი ბრალია!
დორისი – რა სისულელეა!
ჯორჯი – პატარა ბავშვივით ნუ მექცევი, ძალიან გთხოვ, დორის!
დორისი – ნუ ნერვიულობ, ჯორჯ... *(ტკივილისაგან იკლაკნება)*
 უკეთესია დავწვე... *(ლოგინზე წვება)*
ჯორჯი – მეც კაცი ვარ რა! კაცი ვარ ახლა მე?
დორისი – შეიძლება ერთი სიტყვა ჩავიროთო?
ჯორჯი – ეხლა ველარაფერი დამამშვიდებს, იცოდე.
დორისი – დამშვიდებას არ ვაპირებ. ახლა მე... ვაპირებ... მშობიარობას.
ჯორჯი – ვიცი... ვიცი...
დორისი – საერთოდ კი არა... ახლა, ამ წუთას... ამ წუთას... აქვე ვაპირებ... ყოველთვის ასეთი სწრაფი მშობიარობა მქონდა.
ჯორჯი – არა! არა! როგორა ხარ?
დორისი – როგორც მშობიარობის დაწყების წინ

ჯორჯი – ნუ გეშინია, ტყუილი განგაშია!

დორისი – დამშვიდდი, მიუჯექი ტელეფონს და უახლოესი საავადმყოფოს მისამართი გამიგე.

ჯორჯი – საავადმყოფო? საავადმყოფოში უნდა წახვიდე?

დორისი – ჯორჯ, არ ვიცი, მოგწონს თუ არა, მაგრამ უნდა ვიმშობიარო!

ჯორჯი – ჩვენ ხომ ცოლქმარი არა ვართ?! რას იტყვის ხალხი?

დორისი – დარეკავ თუ არა?

ჯორჯი – სად მიდიხარ?

დორისი – საბაზანოში.

ჯორჯი – რატომ?

დორისი – კითხვა – პასუხის დროა! *(აბაზანაში შედის. ჯორჯი ტელეფონს ეცა)*

ჯორჯი – მისტერ ჩალმერს? ჯორჯი ვარ, ე...ე... ე... სად არის უახლოესი საავადმყოფო? ჩემი ცოლი... მოულოდნელად დაორსულდა და უნდა იმშობიაროს. ეგრე შორს არის? ღმერთო! შემაერთე თუ შეიძლება... *(ყურმილს ხელს დააფარებს)* დორის! დორის! სადა ხარ? ხმა გამეცი!

დორისი – *(ეკლისებრიდან)* არა მცალია.

ჯორჯი – დიახ... დიახ... ალო, ალო... საიდან ვრეკავ და სასტუმროდან... ვიჯექი ჩემთვის წყნარად ოთახში და უცებ მეზობელი ნომრიდან კენესა მომესმა. შევიხედე და ვილაც ქალი დავინახე... ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს და არც შემხვედრია... მგონი ჭინთვები აქვს... ყოველი სამი ოთხი წუთის შემდეგ... დამაცადეთ, ვკითხავ... დორის, შენი ექიმი ვინ არის?

დორისი – *(ეკლისებრიდან)* ჯოზეფ ჰარინგტონი, ოკლენდში ცხოვრობს...

ჯორჯი – *(ტელეფონში)* ჯოზეფ ჰარინგტონი... ოკლენდი... 542-7676. დიახ, მანქანა მყავს. დიდი სიამოვნებით წავიყვან... დიახ... ე...ე... ერთი რამ უნდა გკითხოთ... საინტერესოა, ეროტული კონტაქტი ნაადრევ მშობიარობას თუ გამოიწვევს?... არა, ისე გკითხეთ... რა თქმა უნდა, ახლავე. *(დაკიდებს ყურმილს)* დორის, ისინი შენს ექიმს დაურეკავენ. საავადმყოფოში დაგვხვდება.

დორისი – *(საბაზანოდან გამოდის)* ვერ მოვასწრებთ. წყალი უკვე დამელვარა!

ჯორჯი – ღმერთო ჩემო!

დორისი – ექიმი აქვე უნდა ვიპოვოთ... აქვე.

ჯორჯი – რომ ვერ ვიპოვოთ?

დორისი – რას ჰგავხარ, ჯორჯ! გულის წასვლას აპირებ?

ჯორჯი – ტაქსის მძღოლი ხომ არა ვარ, ყველაფერი ვიცოდე. ბავშვს ვერ მივიღებ!!

დორისი – რა დროს ეგენია?! გამოიდახე ექიმი!

ჯორჯი – *(ტელეფონთან მიიღებს)* მისტერ ჩალმერს, თქვენა ხართ? დიახ, ისევ ჯორჯი. ერთი სიტყვით, ექიმი უნდა გამოიდახლოთ, სასწრაფოდ!

დორისი – დაიმახსოვრებ, როგორია გათხოვილ ქალთან ხვევნა-კოცნა და ერთი ამბავი.

ჯორჯი – ნუ გეშინია, ნუ გეშინია, დორის! ბოლო კეთილია! ყველაფერი კარგად დამთავრდება. *(ტელეფონი)* რაო? არ გესმით? ამას ჭინთვები აქვს! ჩაბრძანდით მანქანაში და მიდით იმ დაწყვეტილ მოედანზე! ოღონდ იპოვნეთ, თუ ღმერთი გწამთ! *(ყურმილს დადებს)* ექიმი გოლფს თამაშობს და მოედანზე ყოფილა. აქვე ახლოს, ჩალმერსი იპოვნის. *(დორისი კვნესის)* რა დაგეპართა?

დორისი – ბავშვი წამოვიდა!

ჯორჯი – არა! არა!

დორისი – ჯორჯ, მეშინია, ჯორჯ!

ჯორჯი – გადაწეი და კუნთები მოუშვი! თავისუფლად ისუნთქე!

დორისი – მიშველე!

ჯორჯი – ახლავე! *(საბაზანოში შეირბენს)*.

დორისი – სად მიდიხარ? ნუ მტოვებ! მეშინია!

ჯორჯი – *(ეულისებოდან)* აქ ვარ, გენაცვალე, აქა ვარ!

დორისი – ჯორჯ! *(შემოდის პირსახოცებით დატვირთული ჯორჯი)* ამდენი პირსახოცები რად გინდა?

ჯორჯი – ახლა ჩვენ ვიმშობიარებთ!

დორისი – ვინ ჩვენ?

ჯორჯი – მე და შენ! ოღონდ შენი დახმარება დამჭირდება. მომეცი ხელი. თვალებში შემომხედე; ყველაფერი კარგად დამთავრდება, ნუ გეშინია. ჩვენ ხომ ერთად ვართ. გახსოვს, მითხარი, კარგი პიანისტი ყოფილხარ! შენ ის ნახე, რა შეანობა ვიცი.

ფარდა

ამორე მოძველება მეოთხე სურათი

მოქმედების დრო: 1965 წლის თებერვალი

მოქმედების ადგილი: იქვე

ჯორჯმა ეს-ეს არის ამოალავა ჩემოდანი. ბოლო საგანი ჩემოდნიდან რაც ამოიღო, ვისკია. ვისკი ლანგარზე დადო. ვიდრე ლანგარს როიალზე გადადებდა, ვისკი ჭაქსში ჩამოისხა. ჭიქიანად ტუალეტის მავიდასთან მივიდა და სავარცხელი, გასაღებების შეკვრა და აბებიანი პაწია ბოთლი ამოიღო. შემოდის დორისი. თხელი სვიტრი, ჯინსები და სანდლები აცვია. ინდური ყელსაბაში ჩამოუკიდია. მხრებზე ჩამოშლილი ვრძელი თმა შუბლზე ვიწრო სარტყელით აუკრავს. განცვიფრებული ჯორჯი ეხვევა დორისს.

დორისი – ვაუ, ბიჭი! ჟიმაობა გინდა?

ჯორჯი – რა ბრძანეთ?

დორისი – ვერ გაიგეთ, რაცა გკითხეთ?

ჯორჯი – გავიფიქრე, მისასალმებლად რა უცნაური მანერა აურჩევია-მეთქი.

დორისი – ახია ჩემზე! მეგონა, ასე და ამგვარად პირდაპირ საქმეზე გადავიდოდით. ამ სიგრძე ფრენის შემდეგ ყურებში არ გიგუგუნებს?

ჯორჯი – მე მანქანით ჩამოვედი.

დორისი – კონექტიკუტიდან?

ჯორჯი – არა, ლოს-ანჯელესიდან. ბევრლი ჰილზში გადავსახლდით. იქ, ამ ბოლო დროს, მდიდრები მომრავლდნენ. მაგათ კი, ალბათ, გაგიგია, არ იციან, ფული როგორ ხარჯონ.

დორისი – და შენ კარნახობ, არა?

ჯორჯი – დიახ, მენეჯერი გახლავართ.

დორისი – მერე? როგორ მიდის საქმეები?

ჯორჯი – აუვს ვერ მათქმევინებ. რა იყო?

დორისი – რალაც დაბრედილი ხარ. ჯანს ხომ არ უჩივი?

ჯორჯი – არა!

დორისი – მაჭმევ?

ჯორჯი – დორის, დიდი ხანია ინდურად იცვამ? რეზერვაციიდან გამოქცეულს გავხარ.

დორისი – უნივერსიტეტში ვსწავლობ.

ჯორჯი – რამ გაიძულა?

დორისი – არ გაინტერესებს, რომ გავიზრდები, რა გამოვალ?

ჯორჯი – ჩემო კარგო, შენი წლოვანების სტუდენტს, დამეთანხმები, ყოველ დღე ვერ შეხვდება კაცი.

დორისი – სტუდენტობა არც ჩემთვის არის იოლი საქმე. ერთადერთი ჭკვიანი ადამიანი ვარ კურსზე.

ჯორჯი – რამ გაიძულა-მეთქი, მიპასუხე.

დორისი – ერთმა ვანშამმა. ჰარის პატრონმა დაგვაპატიჟა და თავი გამოვიჩინე.

ჯორჯი – როგორ?

დორისი – პატარა ბავშვებთან იმდენ დროს ვატარებ, უკვე ეჭვი მეპარებოდა, შევძლებდი თუ არა რაიმე გონივრულ ლაპარაკს ხუთი წლისა და უფრო ასაკოვან ადამიანებთან. ერთი სიტყვით, ვანშამზე წავედი, წავედი და პატრონის გვერდით დამსვეს. ის, რა თქმა უნდა, მებაასებოდა და მეც, თავად მიკვირდა, ვპასუხობდი. საუბარი მაღალ დონეზე ჩატარდა. ის-ის იყო ყველაფერი კარგად უნდა დამთავრებულიყო, რომ შევაძინე, პატრონი რაღაც უცნაურად მომჩერებოდა. მაშინვე დავხედე იმის თეფშს და რას ვხედავ: ამ საუბარში სულ წვრილ-წვრილად არ დამიჭრია შემწვარი ხორცი! იქვე, მაშინვე გადავწყვიტე, დიასახლისობა მეყოფა-მეთქი.

ჯორჯი – უნივერსიტეტი რატომღა აირჩიე?

დორისი – ვიფიქრე, მიპასუხებდნენ იმ შეკითხვებზე, რომლებიც მაწვალებდა.

ჯორჯი – რა შეკითხვები დაგებადა ასეთი?

დორისი – პირველად კვერცხი გაჩნდა თუ წიწილა?

ჯორჯი – პასუხიც ასეთი უნდა.

დორისი – კი, ბატონო, უფრო გასაგებად ავიხსნი: მინდოდა, გამეგო, ბოლოს და ბოლოს, ვინა ვარ ან რა ვარ?

ჯორჯი – უნივერსიტეტის აუდიტორიაში ასეთ პასუხს ვერ მოისმენ.

დორისი – აუდიტორიებში არცა ვართ. დემონსტრაციებსა და პროტესტის მარშებს ვმართავთ.

ჯორჯი – რას აპროტესტებთ?

დორისი – ომს რა თქმა უნდა! შენ არაფერი გაგივია. გაზეთებშიც ეწერა!

ჯორჯი – დემონსტრაციებით ომს რას უშველით?

დორისი – რაიმე უკეთესი იცი?

ჯორჯი – შენა გგონია, აქ პოლიტიკურ დისპუტზე გამოვცხადდი?

დორისი – რა ვიცი! სექსი და პოლიტიკა არ გინდა... მოდი, რელიგია ვცადოთ...

ჯორჯი – რამე დასამშვიდებელი არც შენ გაწყენდა.

დორისი – რა მოგივლა? რა გამოიმასქნებელი ხარ?

ჯორჯი – ეგეთ სიტყვებს ვერ ვიტან.

დორისი – რატომ?

ჯორჯი – იმიტომ, რომ ეგეთი სიტყვა არ არსებობს.

დორისი – ღელაჩემიც ასე მეუბნებოდა. ცხრა წლისა რომ ვიყავი, კკითხე: „შენი ღელა იმასვქენი“ რას ნიშნავს-მეთქი? მიპასუხა, ეგეთი გამოთქმა არ არსებობსო.

ჯორჯი – და ახლა, როცა დარწმუნდი, რომ არსებობს, ყოველ მეორე სიტყვად უნდა იხმარო?

დორისი – ჯორჯ, რა დაგემართა?

ჯორჯი – რა დამემართა და გეტყვი: ზანგები ქალაქებს წვავენ! უნივერსიტეტის პროფესორი ჩემს შვილებს ჩასჩინებებს, ბელნიერებისათვის ერთადერთი გზის პოვნა თუ გინდათ, ნარკოტიკებით უნდა გაიჭყობოთ. ჩემმა ბიჭმა კი თმა ისე მოუშვა, ზურგიდან კულულებიანი კინოვარსკვლავი ქალი გეგონება!

დორისი – მერე რა არის აქ საგანგაშო? ცოტა მოითმინე და ყველაფერი თავისით გაქრება, ჩემო კარგო!

ჯორჯი – როდემდის უნდა ვიცადო? რა ვიცი, ეს სიგიჟე როდის „გაქრება“?! ჩემი გოგო კი, მიკვირს, აქამდე როგორ არ დააპატიმრეს, საზოგადო თავშეყრის ადგილებში უსირცხვილოდ ჩაცმული რომ დაიარება.

დორისი – ეგ ასაკთან ერთად გაგივლის, ჯორჯ.

ჯორჯი – რა გამივლის?

დორისი – ახალგაზრდების მორალური დაქვეითების განცდა. თუნდაც არ გაგიაროს, რას იზამ!

ჯორჯი – რას და... დასაწყისისათვის, ღირსეულ მაგალითს ვუჩვენებ.

დორისი – რისთვის იბრძვი, ჯორჯ? ფიზიკური დასჯის აღსადგენად?

ჯორჯი – სხვათაშორის, ცუდი არ იქნებოდა: კინოშნიკებიდან დავიწყებდი. გინახავს რომელიმე უკანასკნელ წლებში

- გადაღებული ფილმი? ვიდრე ფილმი გათავდება, მაყურებელს უკვე გათავებული აქვს.
- დორისი** – ადამიანებს ყოველთვის აინტერესებთ სექსის დეტალები. სხეულს ხომ ვერ მოატყუებ!
- ჯორჯი** – ეშმაკმა დალახვროს, თავი ხომ უნდა შევიკავოთ რალაცისაგან?
- დორისი** – ახალგაზრდობაში „მახსოვს“ შენ ეგეთი მეუღაბნოე არ იყავი.
- ჯორჯი** – აბა, ეგ რა მაგალითია? ჩვენი ურთიერთობა ერთი ლამის რომანი ხომ არ არის?
- დორისი** – რაც მართალია მართალია, უკვე თხუთმეტი ღამე გავიდა.
- ჯორჯი** – ტყუილია! ღმერთო, რაც ჩვენ გადაგვიტანია! დაგავიწყდა? მარტო მშობიარობა რად გვიღირს?!
- დორისი** – მაგას რა დამავიწყებს; ეგ იყო, რაც იყო!
- ჯორჯი** – როგორი გოგო დადგა?
- დორისი** – ძალიან ჯანმრთელი, ძალიან როხროხა და საშინლად გათამამებული!
- ჯორჯი** – უნივერსიტეტში რომ დადიხარ და ბავშვს მარტოდ-მარტო ტოვებ, სინდისი რას გეუბნება?
- დორისი** – ჰარი სულ შინ არის. ამ ბოლო დროს დაზღვევა აღარ არის მოღაში.
- ჯორჯი** – შენს მეტამორფოზებს როგორ იტანს?
- დორისი** – როცა ვუთხარი, პიროვნებად უნდა ვიქცე და სწავლას აუცილებლად გავაგრძელებ-მეთქი, მიპასუხა: „კი, ბატონო, მიდი, აშენე ხიდები, აღმოაჩინე პენიცილინი, ოღონდ კისერზე ნუღარ მაზიხარო“.
- ჯორჯი** – ჰარის კისერზე მუდამ ფხიზელი თავი ედგა!
- დორისი** – ჯორჯ, ეს ხომ ცუდი ამბავია ჩემს ქმარზე, ვერ მიხვდი? ახლა შენი ჯერია. ელენზე მიაბზე რამე. როგორ არის?
- ჯორჯი** – მშვენივრად.
- დორისი** – მიაბზე რამე, ოღონდ ნაღდი და მურდალი.
- ჯორჯი** – ეგ თხოვნა შენ არა გგავს, დორის?
- დორისი** – ეტყობა, ჩვენს შორის ღრმა უფსკრულია, მაგრამ ეს დაბრკოლება სასწრაფოდ უნდა გადავლახოთ. ეგებ, ელენზე ცუდს რომ იტყვი, ჩემი შექება გაგიაღვილდეს.
- ჯორჯი** – ვსინჯოთ. ხომ იცი, თუმორთან რა ურთიერთობა მაქვს?

დორისი – ამაზე, ალბათ, უნდა გიპასუხოთ, „თავისებური“-მეთქი, არა?

ჯორჯი – ნამდვილად, აქვე უნდა დავძინო, რომ ეგ თავისებურება ყოველთვის უადგილო ადგილას იჩენს ხოლმე თავს. ერთი კლიენტი ვიპოვე; ნალდი, ნამდვილი კლიენტი, საზოგადოების ნაღები. სიმიდრე წინაპრებიდან მოსდგამდა. გაცნობისას მე და ელენი დაგვპატიჟა: დავახლოვდეთ და მეუღლესაც გაგაცნობთო. ყველაფერი ისე ცივად და თავდაჭერილად მიდიოდა, ლამის გამოვეჩქვით, მაგრამ ბოლომდე მაინც ვაგვძელით. როცა გამოვემშვიდობეთ და წამოსვლა დავაპირეთ, საზოგადო კარის მაგივრად კედლის კარადა გამოვალე და შევედი. შევედი და შევედი, რა მოხდა მერე? რა მოხდა, არა? ვის არ მოსვლია? შეცდომა ის კი არ იყო, რომ შევედი, არამედ ის, რომ აღარ გამოვედი.

დორისი – კარადაში დარჩი?

ჯორჯი – მეგონა, ვერ შემამჩნიეს. მოვიცდი, სადმე გავლენ და მერე გამოვალ-მეთქი! ერთი წუთი გავიდა თუ არა, მივხვდი, რომ მდგომარეობა მცდარად შევაფასე; ბოლოსდაბოლოს, რომ გამოვედი, უნდა გენახა, როგორ მიყურებდნენ. სიტუაცია ძალზე გართულდა, დაიძაბა, მაგრამ როგორმე გამოვძვრებოდი, ელენი რომ არა.

დორისი – ისეთი რა ქნა?

ჯორჯი – ჯერ ხარხარი აუტყდა, თვალთავან ცრემლი სდიოდა. მუცელს ხელებით იჭერდა... მერე იმდენი იცინა, იმდენი იცინა, რომ იქვე თურქულ ხალიჩაზე ჩაიფსა.

დორისი – (იცინის), მერე?

ჯორჯი – ბოდიში-მეთქი, ბოლო ორსულობის შემდეგ აი, ასეთ დღეში ვართ. ხალიჩის გაწმენდის ხარჯებს გადავიხდი-მეთქი.

დორისი – დაწყნარდნენ?

ჯორჯი – იუარეს. მოახლე მყავს და ის მოუვლის ამ საქმესო. რა გაცინებს? განა ეს სასაცილოა?

დორისი – დიდი ხანია მინდოდა მეთქვა: ელენი ძალიან მომწონს.

ჯორჯი – ის კლიენტი დავკარგე-მეთქი რომ გითხრა, მაინც მოგეწონება?

დორისი – ჯორჯ, როდის აქეთია ასე იბღინებები?

ჯორჯი – ვიბღინებები? ჩემი ცოლი სტუმრად, ჩემივე კლიენტის ხალიჩაზე რომ შარდავს, ეს თუ არ მომწონს, ესე იგი ვიბღინებები?

დორისი – მაგას არ გეუბნები. ჯორჯ, სარკეში ჩაიხედე: შენ ბურჟუაზიული საზოგადოების ზნეჩვეულებების თავყანისმცემლი გახდი.

ჯორჯი – ხომ იცი, დალალებს არ მოუშვებ და არც განიერ შარვალს ჩავიცვამ, იმ ბებრუხანა იდიოტებივით, სულ „ჩაო-ჩაოს“ რომ გაიძახიან.

დორისი – მე მოდზე კი არა, შენ შეხელულებებზე გელაპარაკები.

ჯორჯი – არც მოსაზრებები შემეცვალა და არც მე შევცვლილვარ.

დორისი – შეიცვალე, ჯორჯ, შეიცვალე და მერე როგორ! შენ ყოველთვის ახალულვაშაღერილ ბიჭს ჰგავდი, საკუთარ თავში ეჭვი გეპარებოდა, ყოველ ფეხის გადადგმაზე ცრუობდი და ეს იყო, რაც იყო... ადამიანი იყავი. ახლა? ზედმეტად თვითდაჯერებული ხარ.

ჯორჯი – ყველაფერი შეიძლება დამწამოს კაცმა მაგის მეტი.

დორისი – მართლა?

ჯორჯი – ამას წინათ ქალთა გაზეთს ვკითხულობდი... ელენი ... იწერს... და ერთ საღამოს წავაწყდი: იქ ქალებს კვალიფიციურად უხსნიდნენ, რა არის ორგაზმი. იცი, რამ გამაცოფა? ეს სტატია დაიბეჭდა ზუსტად იმ ჟურნალში, რომელსაც დედაჩემი ხილის ტორტის ახალი რეცეპტების სასწავლებლად იწერდა.

დორისი – ჟამთასვლას ნუ ივიწყებ, ჩემო კარგო, დრონი იცვლებიან, დრონი!

ჯორჯი – ძალიან სწრაფად იცვლებიან, ძალიან... ოცი-ოცდახუთი წლის წინ რალაც ტრადიციები გვქონდა. ავი იყო, კარგი იყო, მაინც იყო, რალაც. ახლა ისე აირია ყველაფერი...

დორისი – აი, ეს მესმის! ეს უკვე სწორი მიმართულებით გასროლილი წინადადებაა. *(ძღის ჯორჯთან, ჰკოცნის)*

ჯორჯი – ასე უცებ რით შევიქენი მაგნიტივით მიმზიდველი?

დორისი – იმით, რომ შენი ფუყე, გაბღენძილი ნიღბიდან დაბნეულმა კაცმა გამოიხედა. *(მუხლებზე დაუჯდა)* რა არის შენი სიხარული, ჯორჯ? პლაჟზე სეირნობა, გემრიელი სადილი თუ მე?

ჯორჯი – შენ... და მხოლოდ შენ!

დორისი – აღარ ველოდი ამას თუ იტყოდი!

ჯორჯი – დორის, ლიფს აღარა ხმარობ?

დორისი – ოხ, რა ძალიან ორმოცი წლისა გახდი, ჯორჯ!

ჯორჯი – რას იზამ, ძველი ყაიდის კაცი ვარ.
დორისი – ახლა არ მითხრა, გოლდუოტერს მივეცი ხმაო!
ჯორჯი – როგორ გამოიცანი?
დორისი – მატყუებ ხომ?
ჯორჯი – არა! (დორისი საწოლიდან დგება, იღებს ფეხსაცმელებს და დივანზე ვადადის) საით მიბრძანდებით?
დორისი – თუ გგონია, რომ დავუწვები ვიღაც ვირიშვილს, გოლდუოტერს ხმას რომ აძლევს, ძალიან ცდება.
ჯორჯი – კარგი ეხლა, დორის, რა დროს ეგენია?!
დორისი – ვის მიეცი ხმა, ბიჭო?
ჯორჯი – ეგებ ამაზე სხვა დროს გველაპარაკა.
დორისი – ამიხსენი, რატომ მიეცი ხმა გოლდუოტერს?
ჯორჯი – იმიტომ, რომ ჩემს ბიჭს როკ-ჯგუფში უნდა დაეკრა...
დორისი – კარგი მიზეზია, ნაღდი...
ჯორჯი – ჩემი მდგომარეობს კაცისთვის, რასაკვირველია, უდიდესი მიზეზია.
დორისი – უფრო ჭკვიანურად და დაბეჯითებით რომ დაფიქრდე?
ჯორჯი – კარგი, გეტყვი: გოლდუოტერს ომის დამთავრება უნდოდა!
დორისი – გაანადგურებდა იმ ქვეყანას და ომიც დამთავრდებოდა, რა თქმა უნდა!
ჯორჯი – ეგეთი რამ არ უთქვამს. ამაშია თქვენი უბედურება. კაცს ხანდახან ყური უნდა დაუგდო...
დორისი – იქ სამოქალაქო ომი დაიწყო და ჩვენ არავითარი უფლება არ გვქონდა, ჩავრეულიყავით.
ჯორჯი – გადამრევს ეს ლიბერალური ლაყბობა. ბომბი გვაქვს. რატომ არ ვდღლიზავთ?
დორისი – მაგას სერიოზულად მეუბნები თუ მაგიჟებ?
ჯორჯი – აბსოლუტურად სერიოზულად! ნაბიჭვრები უნდა აღიგავოს, როგორც წესია!
დორისი – ესე იგი, სულ არ გიცნობ, ჯორჯ, რა კაცი ყოფილხარ?!
ჯორჯი – ამ წუთას... გაცამტყერებელი და დამარცხებული.
დორისი – სულ მეგონა, რომ ჩემი საყვარელი ლიბერალი დემოკრატია. შენ ხომ სტივენსონისთვის იღვწოდი?
ჯორჯი – ეგ როდის იყო, არც მახსოვს?
დორისი – რა დაგემართა, ჯორჯ, რამ შეგცვალა?

ჯორჯი – გავიზარდე.

დორისი – გაიზარდე და შენგან არაფერიც არ გამოვიდა!

ჯორჯი – მოდი, გაეჩუმდეთ, კარგი? ვითომ აქამდე არაფერზეც არ გვილაპარაკია.

დორისი – რა გამაჩუმებს? ძველი ყაიდის კაცი და გაბლენძილი ერთია, ფაშისტი კი...

ჯორჯი – ვინ არის ფაშისტი, მე?

დორისი – აბა, მასობრივ ჟღერას ვინ უჭერს მხარს?

ჯორჯი – დორის, მორჩი, გესმის? გთხოვ, გაჩუმდი!

დორისი – შენ გიყვარს ის, რაც მე მეზიზღება!

ჯორჯი – ეგებ შენ ის გიყვარს, რაც სიყვარულის ღირსი არ არის?

დორისი – ოდესღაც ჩვენ ერთი და იგივე რამ გიყვარდა და გვეჯეროდა.

ჯორჯი – გამოვიცვალე და რა ვქნა?!

დორისი – რატომ ჯორჯ, რატომ?

ჯორჯი – იმიტომ რომ მაიკლი მოკლეს!

დორისი – ღმერთო ჩემო! რას ამბობ, ჯორჯ!

ჯორჯი – ვერტმფრენში დაჭრილს აწვევდა და სნაიპერმა ესროლა.

დორისი – როდის?

ჯორჯი – ამერიკის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე რომ ვიყავით, იქ შეგვატყობინეს. ელენს ისტერიკა დაემართა, მე კი გავშრი, ველარაფერს ვგრძნობდი, აღარაფერი მესმოდა... მეგონა, ყველაფერს მერე შევიგრძნობ-მეთქი, მაგრამ შევცდი. შეგრძნება აღარ დამბრუნებია. ერთ რამეს ვგრძნობ მხოლოდ: ისე ვარ გააფთრებული, თვალები გამიშრა, ერთი კურცხალი არ გადმომივლია... რა საშინელებაა! ჩემი შვილი, ჩემი ბიჭი, ჩემი საყვარელი მაიკლი ვერც კი დავიტირე. დორის, მაპატიე, დორის... ამ ბოლო დროს სულ გავგიჟდი. ხომ იცი, ღმერთმა თუ მოიცალა შენთვის, უბედურებას უბედურებაზე მოაყოლებს... მაპატიე... *(ტირის. დორისი ეხვევა ჯორჯს)*

ფარდა

მეხუთე სურათი

მოქმედების დრო: 1970 წლის თებერვალი

მოქმედების ადგილი: იქვე.

დორისი და ჯორჯი საწოლზე წამოძვდარან. დორისი კროსკორდს ხსნის. ჯორჯი ვაზეთის სპორტულ გვერდს კითხულობს. რამდენიმე წამის შემდეგ ისინი ვაზეთებს გადაავლებენ და ერთმანეთს შეატყერდებიან.

დორისი – საოცარია პირდაპირ! უკვე იცი წელი გავიდა; ჩვენ კი ისევ ისე ტკბილად ვართ... გუგულებივით.

ჯორჯი – რა გიკვირს, ჩემო სიცოცხლე: ერთად გატარებულ დღეებს თუ შევკრებთ, ჯერ თაფლობის თვეც არ გასულა.

დორისი – ებია რომ ვარ, უკვე გითხარი?

ჯორჯი – ჯერ არა; მაგრამ სათქმელააად საკმაოდ უცნაური ადგილი და დრო შეარჩიე. დორის, შენ ყველაზე ახალგაზრდა ხარ იმ ბებიებს შორის, რომლებთანაც ასეთი ურთიერთობა მქონია.

დორისი – *(ტუალეტის მაგიდისკენ მიდის)* დიდ მადლობას გიცხადებ დელაჩემის, მამაჩემის, ჩემი პარიკამხერისა და ქირურგის მაგიერად. *(მაგიდას მიუჯდება, სარკეს ჩასტყერის, თმას ივარცხნის, ვრიძს იკეთებს)* ჰარიმ თავად არ იცის, რა მართალია, როცა მეუბნება: „შენ ის გოგონა აღარა ხარ, ვისზედაც დავქორწინდიო“

ჯორჯი – ალბათ, იმას შენი გრძელი ცხვირი უფრო მოსწონდა.

დორისი – ჰარიმ არც იცის, ახალი ცხვირი რომ მაქვს.

ჯორჯი – ვერ შეგამჩნია?

დორისი – როგორია, ჰა? რას იტყვი? ახალი კაბა რომ არ შეამჩნიოს, კიდევ არა უშავს და ახალი ცხვირი?!

ჯორჯი – და... *(ჯინსებს იცვამს)* ისე სიმართლე თუ გინდა, ვერც მე ვამჩნევ დიდ განსხვავებას!

დორისი – მერე რა? განსხვავება იმ მხრიდან ჩანს, საიდანაც მე ვუყურებ. ახლა მგონია, რომ უფრო ლამაზი ვარ.

ჯორჯი – მერე და, რა აუცილებელია, მაინცდამაინც ამდაგვარი საშუალებებით გალამაზდე?!?

დორისი – ქალი ორმოცდაოთხის რომ ხდება, თანდათან კარგავს საკუთარი თავის იმედს...

ჯორჯი – ორმოცდაოთხის კი არა ორმოცდახუთის.

დორისი – მით უმეტეს... *(პაუზა)* მე უკვე მოგახსენეთ ჰარის უარყოფითი საქციელის შესახებ გასულ საანგარიშო წელს. ახლა თქვენი ჯერია.

ჯორჯი – ერთხელ კარის მეზობლებს წვეულება ჰქონდათ, ისე ხმაურობდნენ, რომ ელენს ვერ დაეძინა. ძილის წამლის დალევა არ უნდოდა, რადგან მეორე დილას ადრე სადღაც უნდა წასულიყო. ადგა და აბებით ყურები ამოივსო. ღამით აბები, რასაკვირველია, დადნა. ექიმმა, ამ ნაგვისაგან ყურებს რომ უსუფთავებდა, უთხრა: „იცით, ქალბატონო, ამ აბების მიღება პირიდანაც შეიძლებოდაო“. ელენს მხოლოდ გაეღიმა. საკმაოდ გულგრილი გახდა.

დორისი – ბედნიერი კაცი ხარ, ცოლზე ამაზე უარესს თუ ვერაფერს ამბობ... თანაც მთელი წლის ანგარიშით...

ჯორჯი – იცი... როგორ გითხრა... ჩემში ბედნიერებისადმი სწრაფვის პოტენციური ნიჭი აღმოვაჩინე. *(ტელეფონის ზარი)*

დორისი – ალო. ლიზ, მე ვარ. სამოცი და არა ორმოცდაათი. სამოცი, ბატონო, მაგას ჩვენ უკვე ორჯერ მოვემსახურეთ. მაგიდებს აუზის გარშემო ვდგამთ ხოლმე, ბუფეტს – ეზოში. კარგი, ლიზ. ჰარის არ დაურეკავს? აბა, რა! ამ ნომერზე დარეკეთ, აქ ვიქნები. *(დაკიდა ყურმილი)* უეცრავად. საქმეს გადადება არ უყვარს. იძულებული შევიქნენ, ტელეფონის ნომერი დამეტოვებინა.

ჯორჯი – ჰარიმ იცის, აქ რომ ხარ?

დორისი – არა. მონაზონთა თავშესაფარში ვკონივარ. ნუ ღელავ! *(თან ისევ გრძობს იკეთებს.)*

ჯორჯი – მე ძალიანაც მშვიდად გახლავართ

დორისი – მაშ, რატომ მოიღუშე?

ჯორჯი – იმიტომ, რომ უარყოფითი ვიბრაცია შემომქსმა ისევ.

დორისი – ისევ?

ჯორჯი – დიახ, შემოხვედი თუ არა, ვიგრძენი, დამაბული რომ იყავი. მერე, როცა გამოგელვია, ნერვიულობა აღარ გემჩნეოდა. ახლა კი ისევ ვგრძნობ უარყოფით ვიბრაციას.

დორისი – დიდი ხანია ფსიქონალიზზე დადიხარ?

ჯორჯი – საიდან იცი?

დორისი – მივხვდი. რამ მიგიყვანა?

ჯორჯი – რალაც-რალაცები გადავაფასე. ერთხელ შევხვედი ჩემს

სახლს, 150000 დოლარი რომ ღირს, გარაჟს, სამი მანქანა რომ დგას, ჩემს აუზს, ჩემს მებაღეებს და ვიფიქრე: ნუტა მართლა მჭირდება უზრუნველყოფის ეს სიმბოლოები-მეთქი? მერე კი გადავწყვიტე, ბოლოსდაბოლოს, გამეგო, ვინ ვარ და რა მინდა. *(ღორისი ჩემოდნიდან საშინაო პიჯამოს ამოიღებს და სააბაზანოში შედის)*

ღორისი – *(ეულისებიდან)* და ყველა სტადია გაიარე ანალიზებიდან ნირვანამდე?

ჯორჯი – ღორის, საკუთარი ემოციების ჰორიზონტის გაფართოება შეძენილ გამოცდილებას არ ამცირებს. პირიქით! და მეც ბევრი რამ შევიძინე.

ღორისი – *(ეულისებიდან)* გეტყობა. და იცი რაში? ახლა ისე ლაპარაკობ, თითქოს მეთოთხმეტე სართულის ფანჯრიდან გადასვარდნად გამზადებულ კაცს ამშვიდებდე. *(შემოდის, მიღის ჯორჯთან)*

ჯორჯი – ხანდახან ჩემი ემოციონალიზმის კომპენსაციისათვის, როგორც ყოველთვის, ვაჭარბებ და ჩემივე სპონტანიზმის ნაწილს ვკარგავ. ეს ვიცი, მესმის, მაგრამ რაც ძალი და ღონე მაქვს, ვცდილობ.

ღორისი – სასიამოვნო მოსასმენია. კიდევ, კიდევ რა შეითვისე?

ჯორჯი – კიდევ? ერთი რამ გავიგე. იმ კედლებს იქით, გარს რომ შემოვირტყი, შემიძლია ძალიან თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე ადამიანი ვიყო.

ღორისი – მაგას ოცი წლის წინ გეტყოდი... რომ გეკითხა! ერთი ის მითხარი, ელენი როგორ შეეჩვია მაგ შენ „წიაღსვლებს“ საკუთარი თავის აღმოსაჩენად.

ჯორჯი – თავიდან ზერეაქციების საშიშროება გველოდა.

ღორისი – ვერ გავიგე?

ჯორჯი – რა ვერ გაიგე? მაღაზიაში პროდუქტებს ვყიდულობდით და გრეიფრუტი მესროლა. კონფლიქტების მთელი რიგი გავიარეთ, ვიდრე დაწყნარდებოდა. ახლა კერამიკით დაინტერესდა. *(ჯორჯი როიალს მიუჯდება და უკრავს).*

ღორისი – შენ რაღა შემოსავალი გაქვს?

ჯორჯი – ჩვენ საკმაოდ თავდაჭერილად ვცხოვრობთ. მოთხოვნილებებიც ისეთი აღარ გვაქვს. რაც გვჭირდება, პატიოსანი შრომით ვშოულობ.

ღორისი – რას აკეთებ?

ჯორჯი – მარტოხელების ბარში ვუკრავ. *(ტელეფონის ზარი. ვიდრე ყურმილს აიღებს, ღორისი შესცქერის ჯორჯს. ჯორჯი შეწყვეტს დაკვრას)*

ღორისი – დიახ, დიახ, მე ვარ, ღიზ! არავითარ შემთხვევაში. უთხარი, ეს ჩვენი უკანასკნელი ფასია-თქო. მიმიფურთხებია... სულ ერთია, კარგი რაიონია, თუ ცუდი. რა სისულელეა, ღიზ, ჩვენ მაგას უფრო ვჭირდებით, ვიდრე – ეგ ჩვენ. არ უნდა და ნუ უნდა. ნუ გემინია, არ წავა. დაგთანხმდება. კიდევ გინდა რამე? კარგი. *(დაკიდა ყურმილი)* კიდევ ერთ მაღაზიას ვყიდულობ.

ჯორჯი – *(ისევ უკრავს)* გჭირდება?

ღორისი – არა, მაგრამ ძალა მინდა ვიგოძნო. როგორც იქნა, შეეუშვი, ამ სქელლანჩიან გოგრაში, რომ სხვა ხელჩაქეულ დიასახლისებთან ერთად „შ. გ.“ წრეში მეცადინეობა არაფერს არ შემმატებს.

ჯორჯი – „შ. გ.“ რაღა?

ღორისი – „შეგების განვითარება“. ვიმედოვნებ, შენ ქალთა განთავისუფლების მომხრეც ხარ.

ჯორჯი – რასაკვირველია. მე ყოველგვარი განთავისუფლების მომხრე ვარ.

ღორისი – ნუ იტყუები. კაცები ყოველთვის ჩაგრავენ ქალებს.

ჯორჯი – *(ისევ უკრავს)* ყველა ყველას ჩაგრავს. გააჩნია, ვის რა საშუალება აქვს. ყური დამიგდე; ექიმთან ვიყავი, ქალი აღმოჩნდა. სწორი ნაწლავი უნდა ენახა. მეკითხება; „გტკივათ თუ კუნთების მოღუნება არ შეგიძლიათ?“ ვუპასუხე, მოღუნება არ შემიძლია-მეთქი. „აღბათ, იმიტომ ქალი რომ ვარო!“ ამაზე მივუგე: არა, გასინჯვის დროს ყოველთვის დაჭიმული ვარ-მეთქი. გესმის, რას გეუბნები?

ღორისი – მხოლოდ ერთი რამ. ამ ქვეყანაში ქალს სერიოზულად მხოლოდ მაშინ უყურებენ, ფული თუ აქვს.

ჯორჯი – აღბათ, კარგი ჰობი კარგი რამეა, არა?

ღორისი – ჰობი დაუძახე. გასულ წელს ნახევარი მილიონი მოგება მომცა!

ჯორჯი – ჩემო ღორის, გთხოვ, სწორად გამიგო: შენ მაინც თუ იპოვე, რასაც ეძებდი, ძალიან გამახარე! მე კი მაყუთით აღარა ვარ დაინტერესებული.

ღორისი – მეჩვენება თუ მართლაც სხვადასხვა მხარეს მივექანებით?

ჯორჯი – გეჩვენება. რაც ერთად ვართ, ასე ახლოს არასოდეს მიგრძენიხარ.

დორისი – არ ვიცი... არ ვიცი... ხანდახან მგონია, რომ ერთმანეთს ავცდით.

ჯორჯი – ჩვენს პოტენციალს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოში ვაქცევთ ხოლმე რეალობად; თანაც სხვადასხვა გზით. მთავარია, შენი საქმე გაკმაყოფილებდეს.

დორისი – ვცდილობთ, ჩემო კარგო.

ჯორჯი – და რაც გინდა, ყველაფერს აღწევ?

დორისი – ერთი პაწაწა გამონაკლისის გარდა: მგონი, ამ პროცესში ქმარი დავკარგე სადღაც.

ჯორჯი – როგორ თუ დავკარგე?

დორისი – არ ვიცი, დავკარგე თუ უადგილო ადგილას დავტოვე. ოთხი დღის წინ წავიდა და ჩამიჩუმი არ ისმის.

ჯორჯი – მერე? რასა გრძნობ?

დორისი – ჯორჯ, თუ შეიძლება, ნუ მელაპარაკები ისე, თითქოს ადამიანთა პოტენციალის შემსწავლელი ჯგუფი ვიყო. შენი კილო მაგიჟებს.

ჯორჯი – სასიამოვნოა!

დორისი – რა არის სასიამოვნო?

ჯორჯი – ჰარიზე ხარ გაბრაზებული და ჯონს ჩემზე ტეხავ. ძალიან გთხოვ, ნუ მეტყვი, ასე არ არისო!

დორისი – უკვე ნერვებს მიშლი.

ჯორჯი – ესეც სასიამოვნოა!

დორისი – ოხ, ქრისტე ღმერთო ჩემო!

ჯორჯი – სერიოზულად გეუბნები, სასიამოვნოა! იმიტომ, რომ... პატიოსნებით სავსეა შენი სიტყვები. აბსოლუტური პატიოსნება და გულახდილობა კი ყველაფრის საწინდარია.

დორისი – შენ ელენთანაც აბსოლუტურად გულახდილი ხარ?

ჯორჯი – ვცდილობთ, ჩემო კარგო.

დორისი – უამბე ელენს ჩვენზე?

ჯორჯი – არა, მაგრამ შემიძლია გუამბო. ვიმედოვნებ, ახლა ის უკვე მოწიფულ ასაკშია და სწორად მოიტყევა, როცა ყველაფერს შეიტყობს.

დორისი – ჯორჯ, განავლის კასრი ხარ და მეტი არაფერი!

ჯორჯი – თუ გულწრფელია ეგ შენი სიტყვები, ღუმილით ვიღებ.

დორისი – უგულწრფელესი!

ჯორჯი – ის რაღა იყო, არ ვიცი, ქმარი დაკარგე თუ უადგილო ადგილას დაეტოვეო, რომ წამოროშე.

დორისი – კარგი ეხლა, სიტყვაზე ნუ მიჭერ.

ჯორჯი – მაშ, მითხარი, ოღონდ გულწრფელად, რასა გრძნობ ჰარის წასვლის შემდეგ?

დორისი – თავიდან დაიწყე?

ჯორჯი – დიან. მითხარი, რასა გრძნობ?

დორისი – კარგი, გეტყვი... იცი, ასე მგონია...

ჯორჯი – სულ არ მაინტერესებს, რა გგონია. რასა გრძნობ, აი, ამას გეკითხები.

დორისი – თითქოს მუცელში წიხლი ჩამაზილეს.

ჯორჯი – კიდე?

დორისი – წყენას ვგრძნობ... გააუბას, ღალატს ვგრძნობ... და გეტყვი, ჯანდაბას, ბრალსაც ვგრძნობ, იცი, რაც მთავარია, იმით ვარ შეურაცხყოფილი, დანაშაული რომ შემაგნებინა.

ჯორჯი – რატომ? რატომ?

დორისი – ახლავე ავიხსნი. მე ხომ იმიტომ არ გავყევი ჰარის, ილბლიანი ბიზნესმენი დადგება-მეთქი. რა ვქნათ, ბატონო, აღმოჩნდა, რომ საქმოსნად მე უფრო ვივარგე... ან უფრო გამიღიმა ბედმა... არ ვიცი... მე ხომ არ გადამიყვარდა ჰარი, რახან ბიზნესმენად ვერ ივარგა?! მაშ, რატომ შემიძულა, როცა იგივე საქმეში მე გამიმართლა? აი, დაახლოებით ასეთი ფიქრი მაწამებს.

ჯორჯი – როგორც ვხედავ, ამაში მაინცდამაინც არ უნდა იყო დარწმუნებული.

დორისი – ჟანა დარკისა და ერთგული დიასახლისის გრძნობებს შორის ვმერყეობ!

ჯორჯი – ყველას გვქონია ასეთი გარდამავალი პერიოდი.

დორისი – მაინც არ ვიცი, აი, სწორედ ახლა, როგორ მოვიქცე.

ჯორჯი – ოდესმე თუ გითქვამს, ახლაც რომ გიყვარს?

დორისი – „გიყვარს!“ აბა მითხარი, თუ კაცი ხარ, ოცდაშვიდი წელი რამ გამაძლებინა?

ჯორჯი – მაგას არ გეუბნები. ჰარი ამჩნევს, რომ მის მამაკაცურ ღირსებას რაღაც ეშუქრება, და, ალბათ, თავისი თავისა კვლავ რომ ირწმუნოს, დახმარება სჭირდება.

დორისი – კი, მაგრამ მე რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

ჯორჯი – აბსოლუტური გულწრფელობა, დორის! ნუთუ ასე გეძნელება, უთხრა, მესმის შენი განცდებისაო?

დორისი – ამ მომენტში – მეძნელება!

ჯორჯი – გინდა, რომ წავიდეს?

დორისი – არ ვიცი. ხვალ მკითხე. ხვალ, ალბათ, სხვანაირად გიპასუხებ.

ჯორჯი – რატომ?

დორისი – შენ აქ აღარ იქნები.

ჯორჯი – სულით ხომ სულ შენთანა ვარ!

დორისი – დიდად გმადლობთ, მაგრამ ცოტა ძნელია ვილაციის სულით გაითბო გათოშილი ფეხები... თანაც ეს სული შენგან ოთხი ათასი მილით როცაა დაშორებული!

ჯორჯი – დორის, ხელსა მთხოვ?

დორისი – რატომაც არა; საინტერესოც იქნებოდა...

ჯორჯი – შენთვისაც?

დორისი – ყოველთვის მჯეროდა, ჩვენგან იდეალური წყვილი რომ შედგება!

ჯორჯი – კითხვაზე მიპასუხე!

დორისი – რა გინდა, ხელი ხომ მე გთხოვე? ნუ გემინია, ერთი მეოთხედით ვიხუმრე!

ჯორჯი – როცა ეგ ერთი მეოთხედიც გაქრება, მაშინ თუ გაიმეორებ ან წინადადებას?

დორისი – დაგენადლეკები, შენ ყველა ქალს ასე ეუბნები.

ჯორჯი – არა!

დორისი – გმადლობ.

ჯორჯი – საკუთარ თავში ეჭვი ჯერ არ უნდა გეპარებოდეს.

დორისი – ესე იგი?

ჯორჯი – შენ ისევ-ისევ მშვენიერი ხარ, როგორც ყოველთვის.

დორისი – გინდაც დამწყევლოს ქალთა განთავისუფლებისათვის მებრძოლთა წრის ყოველმა წევრმა, ეგ სიტყვები მაინც მესიამოვნა. ალბათ, არც ისე ემანსიპირებული ვარ, როგორც მგონია.

ჯორჯი – ჩვენ ყველა ერთნაირები ვართ, დორის.

დორისი – ხომ არ გშია?

ჯორჯი – ძალიან.

დორისი – მაშ, ბეღმა გაგიღიმა და ეგ არის: დღეს ჩვენი მასპინძელი სან-ფრანცისკოს ყველაზე ძვირი და დიდებული კულინარიის მაღაზიაა.

ჯორჯი – ასეთი რა დავაშავე?

დორისი – ამ მაღაზიის პატრონს ძალიან მოსწონხარ... *(მღის საზოგადო კარისკენ)* საჭმელი საბარგულში მაქვს.

ჯორჯი – მოგეხმარო?

დორისი – კარგი იქნება. მაგიდას მიხედე, სანთლები დაანთე და აუცილებლად გამიცინე, როცა შემოვალ.

ჯორჯი – ვეცდები.

დორისი – თუ ვერ გამიცინებ, უბრალოდ ხელი მომიკიდე. *(გაღის, რამდენიმე წამის შეძლევე რეკავს ტელეფონი).*

ჯორჯი – *(ყოყმანის შეძლევე იღებს ყურმილს)* ალო... არა, გასულია... ვინ კითხულობს? ჰარი? ერთი წუთით, თუ შეიძლება... *(იხვე ყოყმანებს)* ალო, ჰარი, მე და თქვენ უკვე დიდები ვართ და ამიტომაც გადავწყვიტე, უკიდურესად გულახდილად გესაუბროთ... თუ შეიძლება. არა, დორისი აქ არ არის და სწორედ ამიტომ... ვიცი, რომ ამ ბოლო დროს თქვენს შორის რაღაც ხდება. ჩვენ უახლოესი მეგობრები ვართ. დორისს უკვე ოცი წელია ვიცნობ და ასე მგონია, თქვენც კარგად გაგიცანით. იცით, ჩვენ, როგორც გითხარით, ოცი წელია ერთსა და იმავე დღეს ვხვდებით ერთმანეთს... მონაზონთა თავშესაფარში? მაგაზე მერე... ახლა სულ სხვა რამ მინდა გითხრათ. დორისს თქვენ უყვარხართ, ჰარი, და ძალიანაც... რა? ვიცი, რომ არ ვიცოდე, არ გეტყოდით. ყური დამიგდეთ. ეგებ თქვენ უკეთ გამოვით: ნებას თუ მომცემთ, ვიამბობთ, რაც დორისისაგან ამ დილით შევიტყე; ორიოდე თვის წინ დორისის ჯერიც დამდგარა, ემასპინძლა თქვენი ათი წლის გოგონას თანაკლასელებისათვის, ხომ გახსოვთ? დორისი თავის მაღაზიაში საქმეს შერჩა და ორი საათით დაიგვიანა. როცა შინ მოვიდა და კარი შემოაღო, იცით რა დაინახა? მსუქანი, თითქმის გამელოტებული შუახნის კაცი ფეხმორთხმული იჯდა იატაკზე და ალერსიანი ხმით უამბობდა გარშემორტყმულ, პირდაღებულ და სმენადაქცეულ ბავშვებს სამხედრო ტყვეთა ბანაკზე იაპონიაში. დორისი ჩუმად გაბრუნდა უკან, ჩაჯდა თავის მანქანაში და მაღლი შესწირა უფალს, ასეთი ქმარი რომ შეახვედრა. გესმით, ჰარი? უცნაურია, მაგრამ ცოლ-ქმარი თავის ნამდვილ გრძნობებს ხშირად გიჟის პერანგში მაღავს. ხომ მართალი ვარ? ამ შემთხვევაში ძალიან ჭირს, გულწრფელი გრძნობები გამოხატოს კაცმა. ერთადერთი, რამაც შესაძლოა, შესაძლო კი არა, რაც გააღიბოს ყინულს, აბსოლუტური

გულწრფელობა და გულახდილობაა. კიდევ ერთხელ გეტყვით, დორისს ოცი წელია ვიცნობ და არა მრცხვენია, ვაღიარო: ამ ნაცნობობამ კეთილისმყოფელი და ღვთიური გავლენა იქონია ჩემზე... არ მესმის... რას მეკითხებით? ვინა ვარ? რა მქვია? მე მაიკლის მამა ვარ... მაიკლ ო ჰერლინის მამა...

ფარდა

მექესე სურათი

მოქმედების დრო: 1975 წლის თებერვალი.

მოქმედების ადგილი: იქვე.

იხსნება ფარდა: სააბაზანოდან გამოდის დორისი, წითელი ვარდების თაიგულს როიალზე დადვამს. შემდეგ ტუალეტის მავიდასთან მივა და ცდილობს, რაც შეიძლება ახალგაზრდული პოზა დაიჭიროს. ის-ის არის, ამ წვალებას თავი უნდა მიანებოს, რომ შემოდის ჯორჯი. ისინი გულთბილად გადაეხვევიან ერთმანეთს.

ჯორჯი – როგორ მიყვარს შენი ჩახუტება.

დორისი – მეც! რა დალლილი სახე გაქვს... მოხდა რამე?

ჯორჯი – ამ სახეს მე დიდი ხანია ვატარებ. უბრალოდ, აქამდე არ შეგიძინე, მაგრამ აქ შემოვდგამ ფეხს თუ არა, უკვე კარგად ვარ. ალბათ, ჩვენი ოთახის ბრალია.

დორისი – აქ არაფერი შეცვლილა.

ჯორჯი – არც შეიცვლება

დორისი – იცი, როგორ მიყვარს აქაურობა?!

ჯორჯი – არც მოხუცი ჩალმერსი შეცვლილა... წესით, სამოცდაათშეთმეტისა უნდა იყოს. გახსოვს, პირველი დღიდანვე მოხუცი ჩალმერსი დავარქვით. ის კი მაშინ ჩვენზელა იყო.

დორისი – აი, ასეთი საუბარი კი არ მიყვარს.

ჯორჯი – რა ახალგაზრდები ვიყავით!

დორისი – ძალიან შევიცვალეთ?

ჯორჯი – რას მეკითხები! ერთად გავიზარდეთ; გახსოვს, ჩემი სულელური ტყუილები?

დორისი – მახსოვს და მენატრება კიდევ.

ჯორჯი – მე კი – არა! რა სანატრელია, კაცი თავის კაცობას ეჭქვეშ აყენებდეს...

დორისი – ჩემზე რას იტყვი? მეც გავიზარდე?

ჯორჯი – იცი, ასე მეგონია, ჩვენი შეხვედრის დროს, შენ უკვე დიდი იყავი. შეიძლება ერთი რამ გკითხო?

დორისი – რაც გინდა!

ჯორჯი – ნეტავ რატომ არის, რომ როცა გხედავ. ყოველთვის მინდა გეცე და ყოველის მხრიდან შემოგეხვიო.

დორისი – აი, ესეც არ შეცვლილა ამ ოთახში. ისევ ისეთი სექსუალური მანიაკი ხარ.

ჯორჯი – ცეცხლი დავანთო? *(ბუხართან მივა)* გამოვითვალე და იცი, რა გამოდის: შეშა ისე გაძვირდა, უჯობესია, ავეჯვი იყილო და ცეცხლი იმით დაანთო.

დორისი – კაპიკებს ითვლი?

ჯორჯი – არა, ყველაფერი წესრიგში მაქვს. ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში ვასწავლი.

დორისი – მუსიკას?

ჯორჯი – არა, საბუღალტრო-საანგარიშო საქმეს! ყველაფერი ისე სწრაფად იცვლება, რომ მხოლოდ ციფრები დარჩა ძველებური *(დაბალ მავიდასთან მიღის და ორი ჭიქაში ჩამოასხამს ყავას)* დორის, მალაზიები რატომ გაყიდე?

დორისი – საიდან გაიგე?

ჯორჯი – მერე გეტყვი.

დორისი – სინდიკატმა ძალზე დროულად საკმაოდ ხელსაყრელი თანხა შემომთავაზა და...

ჯორჯი – უსაქმოდ ხომ არ მოგწყინდა?

დორისი – არა. ჯერჯერობით მომწონს უსაქმური მდიდრის ცხოვრება.

ჯორჯი – კი, მაგრამ მთელი დღე რას აკეთებ?

დორისი – რასა და... კკითხულობ, ტელევიზორს ვუყურებ. ცოტა გოლფს ვთამაშობ, შვილიშვილებში ვხარობ.

ჯორჯი – მეგონა, საქმე სიამოვნებას გგვრიდა.

დორისი – სხვა მიზეზიც მაქვს. ჰარის გულმა დაუკაკუნა. ძალიან საშიში მდგომარეობა არ არის, მაგრამ მარტოს მაინც ვერ ვტოვებ. თუმცა მოლვაწეობას მთლად ვერ შევკევი. რამდენიმე თვეში არჩევნებია და წინადადება მომცეს, კენჭი იყარეო.

ჯორჯი – რომელი პარტიაა?

დორისი – დამოუკიდებელი კანდიდატების!

ჯორჯი – ასეც ვიფიქრე. ჰარი როგორ არის?

დორისი – ახლა არაუშავს, ყოველ დღე ოთხ მილს დარბის...
ძუნძულით... ტანი აპოლონს მიუგავს... სახით კი ისევ ისეთია...
სამწუხაროდ... გინდა კარგი ამბავი?

ჯორჯი – რასაკვირველია!

დორისი – გულთ ავადმყოფთა ბლოკიდან რომ გამოყავდათ,
ექიმს ჰკითხა: „შეფ, აქდან რომ გავალ, როიალზე დაკვრა თუ
შემეძლებაო?“ „აბა, რაო!“ უპასუხა ექიმმა, „საკვირველია, აქ
რომ მომიყვანეს, დაკვრა არ ვიცოდით!“ ჰარი, საერთოდ, არ
ანგლობს... მაგრამ ჩემი შეშინებული სახე რომ დაინახა, უნდოდა
გავემხნეებინე და..

ჯორჯი – ახლა როგორ ხართ ერთმანეთში?

დორისი – თბილად.

ჯორჯი – თბილად?

დორისი – რა მოხდა? ყველაფერი ნუ გიკვირს. ახალგაზრდების
ამბავი ხომ იცი. იმათ აქციეს ეს სიტყვა უარყოფითად (*აქეთ-
იქით იყურება*) სად არის შენი ჩემოდანი? მანაქანაში დატოვე?

ჯორჯი – მე... ველარ დავრჩები, დორის.

დორისი – რატომ?

ჯორჯი – იმდენი რამ უნდა გითხრა და ისე ცოტა დრო მაქვს,
რომ ახლავე, პირდაპირ საქმეზე გადავალ. უპირველეს ყოვლისა,
უკვე ათი წელია, ელენმა იცის ეს ამბავი...

დორისი – როდის გაიგე?

ჯორჯი – ორი თვეა.

დორისი – ადრე არაფერი უთქვამს?

ჯორჯი – არა.

დორისი – აბა, ახლა რამ აიძულა?

ჯორჯი – თვითონ ხმაც არ ამოუღია, დორის; ერთი საერთო
ნაცნობი გყავს. კონი ჰქვია. იმან მითხრა. ელენმა კი ათი
წელი ითმინა. ალბათ ამაზე კარგი რამ არც კი მიახვია შენთვის
ელენზე.

დორისი – შენი ცოლი გადასარევი ქალია, ჯორჯ.

ჯორჯი – ცოლი გარდამეცვალა, დორის... ნახევარი წელია. ეს ისე
სწრაფად მოხდა. მაპატიე, რომ დაგახალე... არ ვიცოდი, როგორ
მეთქვა... რა მოგივიდა, ჩემო სიცოცხლე?

დორისი – საოცარია. ელენი არასოდეს მინახავს, მაგრამ, ასე
მგონია, საუკეთესო მეგობარი დაგკარგე-მეთქი. რა არა ხდება!
ბავშვები? ბავშვები როგორღა არიან?

ჯორჯი – ბავშვებს რა უჭირთ, მე კი... შვილები რომ არ მყავდეს, ამას ვერ გავუძლებდი!

დორისი – მერე, ვერ შემატყობინე?

ჯორჯი – გირეკე... სწორედ მაშინ გავიგე, მალაზიები რომ გაგიყიდა; იქ დაგირეკე და ბინის ტელეფონის ნომერი მომცეს. ოთხჯერ დავრეკე. მერე შევეშვი. მაგრამ შენ რომ მყავხარ, ამაზე ფიქრიც კი მამხნევებდა.

დორისი – მაინც მწყინს, რომ არ დამელაპარაკე.

ჯორჯი – ჩემი მწუხარება თავზე უნდა შემომხევი; ვიფიქრე, რა უფლება მაქვს-მეთქი?

დორისი – ეგ რალამ გაფიქრებინა! ჩვენ ერთად უნდა ვყოფილიყავით!

ჯორჯი – ამ ბოლო დროს, ძალიან ბევრს ვფიქრობდი ჩვენზე, ყველაფერზე, რაც გადავიტანეთ, რაც ერთად გარდაგვხდა... იმაზეც, ერთმანეთს როგორ ვეხმარებოდით. იცი თუ არა შენ, რომ ერთად ასცამეტჯერ ვიწექით! ჯიბის კალკულატორზე გამოვთვალე. *(კვლავ დაასხა ყავა)* რა კარგია, საკუთარი თავივით რომ იცნობ ადამიანს. ყველაფერი ვიცი შენზე. ორი ნატეხი ჩაგიგლო, არა?

დორისი – არა, ერთი.

ჯორჯი – ხედავ, ეს ერთი რამ არ მცოდნია; მართლა, არც ის ვიცი, რომელი კინოვარსკვლავი გიყვარს... არც ის, რომელ სუნამოს ისხამ... დიდხანს ვიწვალე, მაინც ვერ გავიხსენე.

დორისი – სასაცილოა, მაგრამ ჩემ საყვარელ სუნამოს „ჩემნი ცოდვანი“ ჰქვია.

ჯორჯი – ერთ რამ კი ნაღდად ვიცი: ამ ოცდაოთხ წელიწადში დღეც არ იყო, არ მყვარებოდი. დაუჯერებელია, არა? ჰო და, მიპასუხე: ცოლად გამომყვები?

დორისი – *(ხუმრობით)* ცოლად? ჩვენთვის ხომ ეგ ხილი აკრძალულია.

ჯორჯი – არ გეხუმრები.

დორისი – *(შესცქერის)* მართლა არ ხუმრობ?

ჯორჯი – არა!

დორისი – ვერ გამოგყვები.

ჯორჯი – რატომ?

დორისი – რა არის ადამიანი?! ახლა თავში გამიელვა: რამდენჯერ მიოცნებია ამ დღეზე! ამან გამაძლებინა, ამ დღის მოლოდინმა

გადამატანინა ბევრი რამ, რასაც ალბათ, ვერ გადავიტანდი და ამისათვის ძალიან მაღლობელი ვარ შენი.

ჯორჯი – მერე, რას პასუხობდი?

დორისი – ყოველთვის ერთსა და იმავეს: თანახმა ვარ.

ჯორჯი – ახლა რაღა დაგემართა? (*პაუზა*) გესმის თუ არა, რომ შესაძლებლობას გაძლევ, ცოლად გაჰყვე კაცს, რომელიც ოცდაოთხი წელია გიცნობს და ამ ხანგძლივი დროის მანძილზე ისე არც ერთხელ არ ჩაგივლიდა, ხელი არ აესვა.

დორისი – შენ ყოველთვის გამოირჩეოდი სიყვარულის ახსნის თავისებური, ფაქიზი მანერით.

ჯორჯი – მხოლოდ ერთი მიზეზით: ჩვენს ჭეშმარიტ გრძნობებზე რომ დაგიწყო ლაპარაკი, მოღური შლიაგერების პოპური გეგონება. ცოლად გამომყვები თუ არა?

დორისი – (*პაუზის შემდეგ*) არ შემიძლია.

ჯორჯი – რატომ?

დორისი – იმიტომ, რომ ქმარი უკვე მყავს.

ჯორჯი – იმას ძალიან სჭირდება და იმიტომ ვერ გაცილდები, არა?

დორისი – არც უმაგისობაა, მაგრამ არის კიდევ სხვა მიზეზებიც... პატივისცემა, შეჩვევა, მოგონებები. ეს ... ეს ისე გამჯდარია ჩემში... ეტყობა, ქორწინების საბოლოო აზრიც ამაშია; არ ვიცი... ვერ გეტყვი...

ჯორჯი – ეს რა სისულელე ჩავიდინე. ამ ხუთი წლის წინ რად შეგარიგეთ. ვინ მეკითხებოდა! რა კეთილდღეობა ამიტყდა, ხომ ვერ მეტყვი?

დორისი – გეტყვი, მაშინ შენ ელენს ზუსტად ისევე ექცეოდი, როგორც მე ახლა ჰარის ვექცევი, რომ გამოგყოლოდი, მთელი ცხოვრება აგერეოდა და აი, ამის შიშით გააკეთე, რაც გააკეთე.

ჯორჯი – ზუსტად ეგრება... შენ ყოველთვის უფრო მეტი იცოდი ჩემზე, ვიდრე მე, თვითონ...

დორისი – მე ყოველთვის ძალიან მიყვარდა ყველაფერი, რაც შენზე ვიცოდი.

ჯორჯი – უშენოდ არ შემიძლია.

დორისი – წელიწადში ერთხელ ხომ ვარ შენი? ყოველ წელს, თებერვალში...

ჯორჯი – დორის, მარტოობა არ შემიძლია, მეუღლე მჭირდება! მინდა, რომ ის ქალი შენ იყო... თუმცა აქეთ რომ მოვდიოდი,

ვიფიქრე, შესაძლოა, უარი მტკიცოს-მეთქი. იცი, ახლა რას ვცდილობ? როგორმე შეგაგნებინო, რომ ცოლად თუ არ გამომყვები, ბოლოს და ბოლოს, კონის ხელში ჩავვარდები. კონიმ კი ყველაფერი იცის ჩვენზე და ისეთი ქალია, არაფერზე უკან არ დაიხვეს... ამას ვერ შეურიგდება... ასე რომ... ვერასოდეს შევხვდებით... რა გაკანკალებს?

დორისი – გავიფიქრე, ნუთუ ჯორჯს ვეღარ ვნახავ-მეთქი და... ასე დამემართა.

ჯორჯი – დორის, ღმერთი არა გწამს... არ გეცოდები?

დორისი – *(პაუზის შემდეგ)* შეუძლებელია!

ჯორჯი – რაღა მოვიფიქრო, არ ვიცი... რით აგიყუჩო გული... რით გაიძულე ახლავე, აქედანვე რომ გამომყვე?...

დორისი – ხომ გვიცნობ ჩვენ, იტალიელ ქალებს... ჩვენ არ ვტირით... *(ჯორჯი პალატოს ჩამოხსნის საკიდიდან)* თვითმფრინავს უნდა მივუხსრო! რომელი საათია? *(დორისი საათიან ხელს გაუწვდის)* ექვსს ხუთი აკლია?

დორისი – არა, საათს სამი საათითა და ოცდახუთი წუთით წინ ვაყენებ!

ჯორჯი – დიდი ხანია ასეთი ჩვევა გაქვს?

დორისი – ოც წელზე მეტია.

ჯორჯი – რამ უნდა აიძულოს ადამიანი? ასეთი რამ პირველდ მესმის...

დორისი – ეს ჩემი პატარა კაპრიზია...

ჯორჯი – კინოარტისტებიდან ვინ გიყვარდა?

დორისი – დონ მაკ-ალისტერი, ჰერი გრანტი, მარლონ ბრანდო და ლოურენს ოლივიე.

ჯორჯი – ნუთუ ცხოვრების ასეთი გრძელი გზა გაიარე?

დორისი – მაგ გზაზე ჩვენ ორივე ერთად მივიღოდით...

ჯორჯი – ესე იგი, საათს სამი საათითა და ოცდახუთი წუთით წინ აყენებ. არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი ჩვენს თავს ხდება... *(ვარბის, კარს მოიჯახუნებს. დორისი ადგილზე ვაშეშდა, ცდილობს თავი დააღწიოს იმ ელდას, ჯორჯის წასვლით გულს რომ ეცა. ბოლოს და ბოლოს, საწოლზე დაეცემა და ატირდება, კარი ბოლომდე იღება და შემოვარდება ჩემოდნიანი ჯორჯი)* დავბრუნდი, ამის დედაც ვატირე!

დორისი – კონი?

ჯორჯი – კონი ოთხმოცდაცხრა წლისაა! *(დორისი იცინის)* მინდოდა,

როგორმე ცოლობაზე დამეთანხმებიან და ვიფიქრე, როცა გაიგებს ვილაცას ვუნდივარ, ეგებ აჩქარდეს-მეთქი... წყალწაღებულის ამბავი ხომ იცი? ჩემს სიცოცხლეში პირველად ვენდე ბოლო კეთილს. კმარა, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, დავბრუნდი, რაც მთავარია, დავბრუნდი და დავბრუნდები ყოველ წელს... ყოველ წელს! მაშინაც, როცა მოვხუცდებით და ჩვენი ბებერი ძვლები ლაწალაუწს ატეხს, როცა ჩაგეხუტები! *(ერთმანეთს ეხვევიან)*.

ფარდა